


№ 3-67




ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა



ყოველკვირეული ჟურნალი

№ 13

წამყვანი მხარე



დავით N	_____
მ. მ. მ. N	_____
გ. გ. გ. N	_____
ს. ს. ს. N	_____
დ. დ. დ. N	_____

9/17/22

ფასი 10 ლა.

---

მონიშნულთა კოოპერატიული რამე

საქონლური  
გაყიდვისა

≡ „ლილია“ ≡

შერევეთა ამხანაგობა „ლილია“ თავისი წმინდელი და ჰიგიენური რძით მოძოვად კარ-  
გი ბაზარი და ახლა აუარითოვებს თავის საქმეებს, რითაც შეძლებს მიეცა მსურველთ  
მიაწოდოს საუკეთესო რძე ბინახედ, ცალკე დაბეჭდილ ჭურჭელით.

რძის დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადგილებს: რედაქცია „ლილია“ Габаевский пер. № 3. და  
ქართულ სამეურნეო საზოგადოების მდივანთან: Бярятинская 5.

---

---

ფრანგულ-კავკასიური

საეაქრო და სამრეწველო ბიურო

„იპერია“ პარიზში

≡ იძლევა ყოველ გვარ ცნობას,  
ჰუიდის მადნეულობას და სხ. ≡

ადრესი: Paris Faubourg Montmartre 10

---

33/03/  
3-67

№ 13

24 მარტი 1913 წ.



ოველ კვირული საზოგადო. ეკონომ.  
მიური და სალიბერატორული ჟურნალი

რედაქცია ღიაა 10-3 საათ.

მიიღება ხელისუფლებისთვის  
1 წლ., — 5 მან. — 6 მან. — 2 მან.  
75 კ., 3 თვ. — 1 მ. 50 კ., 1  
თვ. — 50 კ. სოფლის მასწავლე-  
ბელთ, სამკითხველოებს და  
უმაღლეს სასწავლებლებში მო-  
სწავლეთ დაეთმობათ 4 მან.

მისამართი: თბილისი, Габაевский пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპუტისა: თბილისი კლდე.

### ჟურ. კლდის კანტორისაგან

რედაქციაში იყიდება ჟურნალ კლდის და-  
კავშირული კომპლექტები 1912 წლისა. ფასი ქა-  
ლაქში. — 1 მან. ქალაქ გარედ — 1 მან. და 25 კ.

ყველა ხელის მომწერთ ვთხოვთ დროით  
შეგვატყობინონ ხოლმე, თუ რიგზედ არ მის-  
დით ჟურნალი, რომ თავდარიგი დავიჭიროთ.

ს ა რ ჩ ე ვ ი: † არჩილ ჯორჯაძე. რუსთაველის ძეგლის  
გარშემო. — დ. კახიანი. სასულიერო კრება  
თბილისში. — დ. ვახანიანი. წარსული, აწმყო და  
მომავალი ხიზნობისა. — ალ. ყიფშიძისა. სტუმ-  
რად გერმანელ მეუღნახეებთან. — კოპერატორისა.  
ქართული რეცენზიების ნიმუში. — კუოკალასი.  
შინა მრეკვე. აგონია ჩვენში. — თევდ. ლლონტი-  
სა. საუბარი შვეიცარიასზე. — ლ. დიასამიძისა.  
წერილი მოსკოვიდან. — ირ. ამ - ისა. ს. კაკაბა-  
ძის სახსრავარი. — რ. გ - ესი. საჩუკი.

### † არჩილ ჯორჯაძე

21 მარტს ქ. ბათომში გარდაიცვალა  
არჩილ ჯორჯაძე. საფლავში ჩადის საქარ-  
თველოს ერთი თვალსაჩინო თანამედროვე  
პოლიტიკური მოღვაწე და პუბლიცისტთა-  
განი. სიკვდილი მისი, როგორც პოლიტიკურ  
მოღვაწისა გამოიწვევს არა მარტო დიდ სი-  
ნანულს, და მწუხარებას, არამედ აზრთა დიდ

გაზიარებასაც, რადგან გახსვენებულის მოღვა-  
წეობასთან მჭიდროდ გადაბმული იყო დორ-  
მაცია ახალის პუბლიცისტურის მიმართულები-  
სა ეროვნულ საკითხში. ხოლო რაც შეეხება  
ქართულ პოლიცისტისკაცს, ეჭვი არ არის,  
ამ სიკვდილით მან დაჰკარგა ერთი თავისი  
საუკეთესო წარმომადგენელი. მესამოციან  
წლების განმანათლებელთა შემდეგ ის პირ-  
ველი იყო, რომელმაც ეროვნული საკითხი  
პრაქტიკულ ნიადაგზედ დააყენა. მუდმივმა  
სენმა ხელი არ შეუწყო ყოფილიყო ბო-  
ლომდის სული და გული ამ პრაქტიკულ  
მოღვაწეობისა, მაგრამ ნაციონალურად მო-  
აზროვნე საქართველოსთვის ის იყო მუდამ  
უმაღლესი ავტორიტეტი ყველა ეროვნულ  
საკითხებში.

### რუსთაველის ძეგლის გარშემო

ამ ორი კვირის წინად „თემმა“ აღძრა საკითხი  
რუსთაველის ძეგლის შესახებ. ამ ამბავს არა თუ ქა-  
რთული პრესა, არამედ რუსულ-სომხურიც კი სიმ-  
პატიური სახით გამოეხმატებოდა. ჩვენცა გვსურს  
ორიოდე სიტყვა ვსთქვათ ამ საგანზე,  
უწინარეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ  
ძეგლის დადგმის საკითხი არ ახალია, ძველია! ჯერ  
ჩვენი მესამოცე და მეოთხმოცე წლების მოღვაწენი.  
ზრუნავდნენ ამაზე მათი სრულებით მივიწყება ეს

მათსავე უპატივისცემლობასა ნიშნავს. მაგალითად: გრიგოლ ორბელიანმა, მელიქიშვილმა და მათი წრის ხალხმა თხოვნით მიჰმართა ვარანკოვს, რომ ნება დაერთო მას შოთას ძეგლის აგებისა. ვორონცოვი სიხარულით დასთანხმდა და დახმარებაც აღუთქვა. ამისათვის საგანგებო კომიტეტიც შესდგა, რომელსაც ფულის მოკრება დაევალა. მეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ ძეგლის დადგმა სურდათ იქ, სადაც ეხლა ვორონცოვის მონუმენტი აშართული სამწუხაროდ, სწორედ ამავე წელს ვორონცოვი გადაყვანილი იქმნა და დაწყებული საქმეც სულ ერთიანად ჩაიშალა.

აღსანიშნავია მეორე ხანაც, სახელდობრ ილ. ჭავჭავაძის ეპოქა, როდესაც ქართველიშვილის თაოსნობით გამოცემული იქნა ვეფხვის ტყაოსნის სურათებიანი ძვირფასი გამოცემა. ამ გამოცემასთან ერთად ქართველიშვილს სურდა ძეგლი აემართათ თბილისის ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილზე. შესდგა ახალი კომისია, სადაც მოდიოდნენ ჩვენი მოღვაწენი და ლიტერატორნი, როგორც მაგალითად, თვითონ ქართველიშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე, ივ. მაჩაბელი და სხვები. ~~თუ~~ ეს განზრახვა მხოლოდ განზრახვად დარჩა, ეს იმიტომ, რომ მთავრობამ ნება მისცა, ყოველ მოღვაწეს მხოლოდ იქ დაედგას ძეგლი, სადაც დაიბადაო. ვგონებ, ეს იყო მთავარი მიზეზი, რომ ჩვენმა მეოთხმოცე წლის მოღვაწეებმა გულში ჩაიკლეს შოთას ძეგლის დადგმის სურვილი.

უკანასკნელ ხანებში კიდევ, სახელდობრ 1902 წ., მოამბის მესამე №-ში ბ-ნი ა. ფრონელი საუცხოვო ფერადებით აღწერს თავის მოგზაურობას ძველს მესხეთში—„დიდებულ მესხეთის“ სათაურით, სადაც, სხვათა შორის, აი რას ამბობს: „ნუ თუ დღევანდელი ქართველი ისე დაკნინდა, ისე დაძაბუნდა, რომ მცირედი ფასის ძიძგნამ და ჭორიკანობამ სული ამოგვართვა? ნუთუ დრო არ არის ერთსულად ვიმოქმედოთ? იცოცხლეთ, რომ დროა, დროა ზურგი შევაქციოთ ჩვენს დამღუპველს საეროვნო სენს, მაგრამ სადაა“... ამის შედეგად იმას ასახელებს, რომ „ჩვენ დღემდინ რუსთაველისთვის ძეგლი არ დაგვიდგიაო“, — (მოამბე, 1902 წ. № 3, 26 გვ.). აქ ავტორის შეცდომა ის იყო, რომ წინადადებას იძლეოდა, ძეგლი დაიდგას რუსთაველშიო. მან ადგილიც კი ნიშნობლივ აგვიწერა, სადაც ძეგლის დადგმა აუცილებლივ უნდა მომხდარიყო. მაგრამ ვალაპარაკოთ თვით ავტორი: „რუსთავის პატარა ველზე ერთადერთი პატარა გორაკია;

თითქოს განგებ აქ მიწა დაუყრიათ. სიმაღლით ორი სამი საყენი იქმნება. სწორედ ზედ გამოქრული ბეჭია ძეგლისათვის. აქ რომ შოთა რუსთაველის ძეგლი, ან ობელისკი დაიდგას, მშვენიერება იქნება. ბეჭი მტკვარს ზედ თავზე დასცქერის, იქვე შარაგზაა, შოსე; გამვლელ-გამომვლელი თვალს ვერ აარიდებს ძეგლსა, ისიამოვნებს იმ ფიქრით, რომ შვილნი უმადურად არ მოჰქცევიან სახელოვან მამას და იმასაც ხომ გაივლებს გულში, რომ გავერანებული მესხეთი ოდესმე ბედნიერი ყოფილაო“...დასხვა (ibid).

რა თქმა უნდა, კარგია რუსთაველისა კი არა ყველას ძეგლები გვქონდეს მათსავე სამშობლო ქვეყანაში, მაგრამ ვიდრე აქნობამდინ მოვლონიერდებოდეთ, საქიროა, რომ ეს რუსთავეში კი არა, აქ იყოს, ცენტრში. აი, მხოლოდ ამ მხრივ ვერ დავეთანხმებით პატივცემულ ბ-ნ ფრონელს. რომელიც მოხიბლული იყო ძველი დიდების აკვნის სანახაობით. მას ავიწყდებოდა, რომ ასე შორს გაქცევა ჩვენთვის არა თუ სახარბიელო, არამედ სრულებით უსარგებლო იქმნებოდა, როგორც უსარგებლოდ გვენგრევიან ჩვენს მამათა და წინაპართა სისხლით აშენებული ტაძრები, ნაშთი ჩვენი დიდებული კულტურისა, რომლითაც თავი მოჰქონდა „ოდესმე ვარდივით გაფურჩქენილ“ საქართველოს. მით უმეტეს ეს უნდა ითქვას დღეს, როდესაც ჩვენი თავის უარყოფაზე დავმდგარვართ და არა თუ სურვილი არა გვაქვს მათი შესწავლისა, არამედ ექსკურსიების მოწყობაც ვერ მოგვიხერხებია იქ, სადაც აკვანი დაედო სულმნათ მგოსანს შოთას, სადაც საქართველოს მზე თამარ დედოფალი ხშირად ატარებდა დროს, ანუ სადაც ღვთის მეტყველების ძლიერი ლამპარი დაენტო წმ. ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების ხელით, ასე რომ ჩვენი კულტურა მაშინ დიანაც რომ „გვერდში ამოუდგებოდა ბიზანტიისას“. არა, როგორც ვსთქვიოთ, ეხლა ძეგლის იქ დადგმა ჩვენთვის უქმი იქნებოდა და ისეთივე შეცდომა, რომელიც ჩავიდინეთ ა. ყაზბეგის ნაშთის მყინვარის ძირში გადასვენების დროს.

მაგრამ ეს ხომ საქმეს არ შეეხება. ჩვენი გულის ტკივილი ის არის, რომ აღძრული საკითხი მთელს ამ ათეულ წლების განმავლობაში „ხმად მლაღლებელისა უდაბნოსა შინა“ დარჩა და ისე მივივიწყეთ, რომ ზოგიერთს, როგორც მაგალ. გაზ. „თემს“ ეს განახლებული საკითხი ახალ სიტყვად მოეჩვენა. ჩვენ, არასდროს საზოგადოთ, არა ვყოფილვართ შორს გამჭვრეტი პოლიტიკის ხალხი.

თავის დღეში სიტყვას საქმეს ვერ მივყავართ. მარტო ერთი აღფრთოვანებით ვიკვებავთ თავს. მარტო ის რაღა ჰღირს, რომ ჯერ კიდევ გუშინ თამარ დედოფლის იუბილეის შესახებ ავტენტით განგაში, ბევრი მელანი დაიღვარა, თუმცა ამის შესახებ ჯერ კიდევ შვიდი წლის წინად იყო წერილი მ. ჯანაშვილისა: „გვმართებს მომზადება, 700 წლ. ქალის დღესასწაული ახლოვდება“. მაგრამ აი, როდესაც დადგა ეს დღეც, ჩვენი გაფრთხილება და მომზადება ვოდვეილივით დაბოლოვდა „ზიგზაგის“ ცინიკური გამოსვლით და „გოლოს კავკასას“ საშინელი მხილებით...

აი, ეს სამწუხარო ფაქტები გვაშინებს, ვაი თუ ჩვენმა უმწიფობამ ეროვნული დღესასწაული ისევ ვოდვეილურად დაგვამთავრებინოს. საზოგადოთ, ჩვენ როგორღაც გავურბით ისეთს დღესასწაულებს, სადაც მთელმა ერმა უნდა მიიღოს მონაწილეობა. (თამარის იუბილეის დაუმატეთ ჩვენში ბექდვის შემოღების 200 წ. სრული სიჩუმით ჩატარება და სხ.) მაშ ეხლა მაინც ვიყვნეთ ფხიზლად. კმარა ამდენი დაუდევრობა. დროა, პოლიტიკური სიმწიფე გამოვიჩინოთ. ყველანი ერთად გამოვიდეთ და ვისაც რით შეგვიძლიან, დავეხმაროთ და ეს დიადი განზრახვა სახელოვნად დავაგვირგვინოთ!

დ. კასრაძე.

## სამელიორაციო კრება თბილისში

ამ ზაფხულს თბილისში მოხდება სამელიორაციო კრება კავკასიის და თურქისტანის მოღვაწეთა. ამ კრებას დიდი მნიშვნელობა ექნება კავკასიისთვის და კერძოდ საქართველოსთვის, რადგანაც სამელიორაციო საქმის მოწყობა — განვითარება ჩვენში ერთ-ერთ დიდ ფაქტორთაგანი იქნება ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრების წინსვლაში. მართლაც, საქართველო გეოგრაფიულ და ტოპოგრაფიულ პირობების გამო საკმაოდ მდიდარია უვარგის ადგილებით (მეტადრე დასავლეთი) — ქაობებით, ურწყავ მიწებით, ხევებით, კლდე-ღრეებით. მთის წყლები, რომელნიც საშინელი სისწრაფით მიეშურებიან ბარში, ანგრევენ და ჰგლეჯენ ნაპირებს და

შეუბრალებლად ანადგურებენ სარჩო-საბადებელს ხეობის მცხოვრებლებისას.

მასთან ერთად მრავალი ქართული სოფელი მოკლებულია სუფთა სასმელ წყალს. ~~ქრთმლის~~ მაგიერ ხმარობენ აშშორებულ ახდელ ~~სუფთის~~ წყლებსა. ამას დაუმატეთ ის, რომ ქაობებს ახლავს — საშინლად გავრცელებული ჩვენში ციება-ცხელება, ანუ მალარია, აშშორებულ სასმელ წყლებს — კუჭის სხვა და სხვა ავადმყოფობა, მეტადრე სოფლის ბავშვობაში, რომლის გამო უკანასკნელნი უანგარიშოდ იხოცებიან და თქვენ წარმოიდგენთ, თუ რა მნიშვნელობა ექნება ჩვენი ქვეყნისთვის ამ მხრივი დახმარების აღმოჩენას.

ამიტომ სამელიორაციო მოღვაწეთა კრებას თბილისში დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ.

ჯერ ჯერობით ამ კრების პროგრამა არ არის საბოლოოდ შემუშავებული, მაგრამ ზოგიერთი საერთო კითხვები ამ კრებისთვის წამოაყენა უკანასკნელმა სამელიორაციო კრებამ ქ. კიევში.

სხვათა შორის თბილისის პროგრამაში შევა: სარწყავ წყლების გაყვანა და მოწესრიგება, ქაობების დაშრობა; სასმელ წყლების გამოყვანის საქმე; მდინარე წყლების ნაპირების გამაგრება; ტყეების გაშენება ადგილებზედ; გამოკვლევა რაიონებისა. ნიადაგ-ბოტანიკურ, ჰიდროლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურის მხრივ; სამელიორაციო ამხანაგობათა დაარსება; სამელიორაციო კრედიტის მოწყობა და ამისათვის სპეციალურ ბიუროს დაარსება. როგორც ხედავთ, ამ კითხვების გამოკვლევას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ეძლევა, და მათ გამოკვლევაში ჩვენ უნდა ენერგიული მონაწილეობა მივიღოთ. მეტადრე იმიტომ, რომ ამ მნიშვნელოვან კრებას შეუძლიან ბევრი ჩვენთვის არასასურველი დადგენილება მიიღოს, რადგანაც ბევრს ზემოხსენებულ კითხვებს ჩვენთვის არა სასურველი ელფერი ეძლევა. ამ კრების პროგრამაში, სხვათა შორის, რამდენიმე მუხლს ხაზი აქვს გასმული, რომ სამელიორაციო საქმის მოწყობა კავკასიაში და თურქისტანში იმიტომაა დიდ მნიშვნელოვანი, რომ იგი ემსახურება ამ ქვეყნებში საკოლონიზაციო მიზნებს, ე. იგი უნდა მომზადდეს ნიადაგი გადმოსასახლებელ ხალხისათვის. ამ რიგად შესაძლოა, რომ ის დიდი თანხა, რომლის გამოსაღებად მთავრობა მზად არის, კავკასიის და თურქისტანის სამელიორაციო საქმის მოსაწყობად, ჩვენდა სასარგებლოდ კი არა, პირიქით საენებელად დაიხარჯოს.

ამიტომ ქართველ საზოგადოებამ უნდა მხურ-

ვალე მონაწილეობა მიიღოს ამ კრების მუშაობაში... ჩვენი ბანკების მოღვაწეებმა, ქართველ რეზინერებმა, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ, საადგილ-მამულო კომისიამ, ქართულ ქალაქების წარმომადგენლებმა — მეტადრე ქუთაისისა, ბათუმისა, ფოთისა, გორისა, თელავ-სიღნაღისამ, უნდა დაამზადონ შესაფერი მოხსენებანი, დაესწრნენ ამ კრებას და მედგრად დაიცვან ჩვენი ქვეყნის ინტერესები.

დ. ვაჩნაძე.

## წარსული, აწმყო და მომავალი ხიზნობისა

ჟურნალ „კლდეში“ დაბეჭდილმა მკირე შენიშვნამ — „უცნაური ამბავი,“ მოულოდნელად არა ჩვეულებრივი ყურადღება დაიმსახურა ტფილისის ქართულ პრესისა. ორს ქართულ გაზეთს: „თემს“ და „სახალხო გაზეთს“ ეწყინათ კილო ახალგაზრდა ჟურნალისა, ითაკილეს „რეაქციონერობა“, „რეტროგრადობა“ მისი და რადგან „რეაქციონერობა“ და „რეტროგრადობა“ მუდამ პატივ აყრილი იყო, „უპატივებულო ჟურნალს“ და მის თანამშრომლებს ქვა და ლოდი ესროლეს. შურდულიდან ნასროლმა ქვამ, შეიძლება მტერს თვალი ამოსთხაროს და შუბლი გაუბოს, შეიძლება სამუდამოდაც დაასახიროს, მაგრამ ამ სისხლის ღვრის შემდეგაც სადავო საგანი მაინც სადავოდ დარჩება. გამწვავებული პოლემიკა ურთიერთის გაკილვა და პირადი ღირსების შელახვა სადავო საგანს ნათელსა და შუქს ვერ მიაყვანებს, იგი ვერ იქცევა იმ მადლიან ნესტრად, რომლის დაკვრა ჰკურნავს ხოლმე დამუწულებულ და დაავადებულ ხორცსა.

ქართული ხიზნობა ძველი ამბავია. ბატონყმობის გადავარდნამდე ხიზნობას ყურადღებას არავინ აქცევდა, იგი უწყინარად მიმდინარეობდა, იდგა მაგრად თვის კალაპოტში და შებორკილი ჩვეულება-ადათით, ნაპირიდან არ გადმოდიოდა. ხიზნობამ ნაპირს გადმოხეთქა მხოლოდ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ. მოგეხსენებათ რომ, ოდეს მდინარე ნაპირიდან გადავარდება და გარემოს წალეკვას უქადის, მაშინ ყველა, დიდი და პატარა დაფაცურდება ხოლმე. სწორედ ასე დაემართა ჩვენს ძვე-

ლებურს და უწყინარს ხიზნობასაც. დაფაცურდა მთავრობა, დაფაცურდნენ მამულის პატრონი და ყველაზე მეტად თვით ხიზნები. ბირია მონასტერი. ყველა თვისას გაიძახოდა, გულდამწვრდნენ ადარაგინ იყო. წყნარი ხიზანი გალომდა, მამულის კმაყოფილდებოდა. ადათი რას მიქვიან, ქვეყანა განთავისუფლდა და მეც თავისუფალი ვარო. რაკი ასეთ გუნებაზე დადგა ძველი ხიზანი, ურჩობა დაიწყო და მამულის პატრონს ადათისამებრ აღარ ემსახურებოდა. ადათის დარღვევამ შეაშინა და შეაფიქრიანა მამულის პატრონიც. ვაი თუ მამული ხელიდან წამივიდეს და სულ ხელცარიელი დავრჩეო და შეშინებულმა მიმართა მთავრობას: სასამართლოს და ადმინისტრაციას.

ამნაირად საქმეში ჩაერია მთავრობა, რომელმაც ვერც თავი გაუგო სადავო საგანს და ვერც ბოლო. ეს უნდა იყვეს მიზეზი, ჩვენის ფიქრით, რომ სათავეშივე წყალი აიძვრა. მთავრობამ, უფრო კი ადმინისტრაციამ იმ თავითვე მუარველობისა და მზრუნველობის კალთა გადააფარა ხიზნობას და იმის მაგიერ, რომ პირუთვნელი „არბიტრობა“, ანუ მედიატორობა ეკისრა, აპეკუნის და ადვოკატ-ვექილის ხელობა აირჩია. რადგან ასეთი ხელობა და როლი ადმინისტრაციას მაინცა და მაინც არ შეეფერებოდა და უხერხულობას გრძნობდა, აიღო და კვლევა-ძიების გზას შეუდგა. უნდოდა გაეგო, თუ რას წარმოადგენდა ხიზნობა და რა გზით შეიძლებოდა ამ საკითხის გადაწყვეტა. სწორედ ამ ხანებში ჩაერივნენ ხიზანთა საქმეში ჩვენი ცნობილი მოღვაწე ილია ქავჭავაძე, დავით ყიფიანი და სხვანი. ამ გვარად სამოციან წელთა მოღვაწეთაც შეიტანეს თვისი წვლილი ხიზანთა საქმის განათება-გაშუქებაში. ორჯელ გამოვიდა კანონი ხიზანთა შესახებ, მაგრამ დღესაც საქმეს გათავებულად არავინა სთვლის, არც ხიზანი, არც მამულის პატრონი და, ასე გაშინჯეთ, არც მთავრობა. ეტყობა, ჩვენებურ ხიზნობას რაღაც უკურნებელი სენი შეხვედრია, რომ მისი სათავე ვერ უპოვნიათ ამ ორმოცდაათის წლის განმავლობაში; ეტყობა, ამ ყბადაღებულს ინსტიტუტს ისეთი ჯანყი და ბურუსი მოახვიეს, რომ დიდი შომა და უნარია საჭირო ამ ჯანყისა და ბურუსის გადასაყრელად და დანესტებულ ჯურღმულის გასაშუქებლად.

შეუფერებელ პოლემიკას, ურთიერთის გაკილვას და უდიერად მოხსენებას უსათუოდ გვერდი უნდა ავიხვიოთ. ზემოდ ვსთქვიოთ და გავიმეორებთ კვლავ, რომ ასეთი გზა სჯობასისა საქმეს ავნებს

და შევლით-კი ვერას უშველის. საქმეს ვერც პროგრესისტობით კონტაობა უშველის. თვით საქმის სიყვარული და სიკეთე გვიკარნახებს წინ წავიმძღვართ რომაული თქმულება: sine ira et studio. ვეცდებით საქმის ვითარება სავსებით მოვახსენოთ მკითხველს საგანი დიდია და რთული, ჩვენ ვერ დავიტრაბახებთ, რომ ზედმიწევნით ვიცით ყოველი მისი წვლილი, ავი და კარგი, ვერც იმას ვიტყვით, რომ უებარი წამალი გამოვნახეთ ამ „უკუბრუნებელი სენის“ განსაკურნებლად, მაგრამ ბეჯითად იმის თქმა კი შეგვიძლიან, რომ შურდულით ქვის სროლა და ერთურთის გაკილვას ეს ცდა ემჯობინება. თუ ჩვენი ცდა საგნის გადასაწყვეტად უხეირო იქნება, დეე, მაშინ სხვამ, ჩვენზე უფრო ლონიერმა მკოდნემ და საქმეში ჩახედულმა, უკეთესი წამალი გამონახოს. ჩვენი ცდა ასეთს მოღვაწეს გზას გაუკვალავს და მუშაობას გაუადვილებს.

ხიზნობის შესახებ ხელთა ვვაქვს დაბეჭდილი მასალა, რომელიც გამოქვეყნებული არ არის. \*) მთავარმართებლის საბჭოს წევრის კუჩავის დიდი და ვრცელი მოხსენება. ამ მოხსენებაშია მოქცეული ილია ქაეჭავაძის, დავით ყიფიანის და სხვა ქართველ შემამუღეთა აზრი და პროექტნი. გ. ბ. საყვარელიძის ორი მოხსენება, საგლებო საკრებულოს წევრის თავად ივ. დ. აფხაზისა და თვით ჩემ მიერ შედგენილი ორი მოხსენება. ამ მასალის გარდა სხვა ცნობანიც მოგვეპოვება, რომელნიც შევიძინეთ საგლებო საქმეთა საკრებულოში სამსახურის დროს.

ვეცდებით ამ მასალას თავი მოუყაროთ და გარკვევით დაეხატოთ სურათი ჩვენის ხიზნობისა წარსულსა და აწმყოში. გზა და გზა, რასაკვირველია, იმასაც ვიტყვით, თუ როგორ უნდა მოეწყოს ხიზნების ბედი.

ჩემის ფიქრით, ხიზნობამ დიდი ხანია დრო და ეამი მოიჭამა. ხელოვნურად მისი ფესვების გამაგრებას აზრი არა აქვს და შეუძლებელიც არის ესა. დღეს ისეთი პოლიტიკურ-ეკონომიური ვითარებაა, რომ იგი თავის თავად უკვე ისპობა და სულ მცირე ხანს გაჰქრება და ასეთი გაქრობა სიკეთის მეტს არას მოუტანს ხიზანს. მარტო ერთი მაგალითი მდივნის ხიზნებისა საციციანოში ნათელ ჰყოფს ამ აზრს. სამწუხაროდ, საქმის ასეთს დასასრულს ხელს უშლის ის შარავანდედი, რომლითაც შემოსეს ეს

\*) გამოქვეყნებულია მხოლოდ ორი წერილი, ერთი კუჩავისა და მეორე ქ. ა. ვერმიშევისა იხ. ტ. I მატ. для изуч. экон. быта гос. крестьянъ зак. края.

ხავსმოკიდებული ინსტიტუტი და ის ლოლორიაობა, რომელსაც ადმინისტრაცია იჩენდა. დიდის ხნის მზრუნველობა-აპეკამ და ლოლიაობამ, თავისებურად იმოქმედა ხიზნის ფსიხიკაზე. მისი ბოლოა, რომ ხიზანმა თავის უნარიანობაზე ხელი აიღო თვის ბედის მოსაწყობად და მარტო მთავრობას დაუწყო ცქერა თვალსა და წარბში. სხვის მაცქერალი კი საქმეს უფრო წაახდენს და აშენებით ვერას ააშენებს.

ალ. ყიფშიძე.

(შემდეგი იქნება).



## სტუმრად გერმანელ მევენახეებთან

ამ სათაურით ვკითხულობთ ვ. მაისკის საინტერესო წერილს ჟურნალ „Русское Богатство“-ში. ბ. მაისკი, სხვა რუსთა კოოპერატორებთან ერთად, ეწვია ერთ-ერთ გერმანელ მევენახეთა ამხანაგობას და აი რას მოგვითხრობს. პატარა გემით მივცურავდით მდინარე რეინზედ. მის მთიან ნაპირებზედ, აქა იქ, ვაკე ადგილებზედ გაშენებული იყო მრავალი პატარ-პატარა ვენახები.

ცოტა ხნის შემდეგ ჩვენი გემი მიუახლოვდა პატარა სოფლის ნავთ სადგურს. სოფელი მიმწყვედი ული იყო ღრმა ხეობაში. ნავთ-სადგურზედ დაგვიხვდა მევენახეთა კოოპერატივის წინამძღოლი და წავვიყვანა სოფელში. მიუახლოვდით მევენახეების ამხანაგობის დიდს ორ სართულიანს ქვიტკირის შენობას გაავიღეს ვეებერთელა რკინის კარები და შევედით შიგ კოოპერატივში. ამხანაგობის თავმჯდომარე სანდომიანი სახით, ალერსიანად გვიხსნიდა ყველაფერს. დიდს, ჩაღს დარბაზში, სადაც ამხანაგობას წევრებს მოჰქონდათ ყურძენი, იდგა სასწორი რომელზედაც ამხანაგების ყურძენს სწონავდნენ. იქვე მოწყობილი იყო მანქანა ყურძნის ჩენჩოს გასაცლელად. მის გვერდით ვეებერთელა ყურძნის საწურავი, პრესი. პრესიდან გაყვანილია მილები. ყურძნის წვენი ამ მილებით ჩადიოდა ქვევით სართულში, საერთო აუზში, საიდანაც მერე ბოჩკებში ისხმებოდა დასადუღებლად.

მანქანები ელექტრონის ძალით მუშაობდნენ.

— ერთად სწურავთ ამხანაგების მიერ მოტანილ ყურძენს? შეეკითხა ბ. მაისკი.

— დიახ ერთად, უბასუხა კოოპერატორმა— ყოველ ამხანაგის ყურძენს ვწონავთ და ვწერთ. მერე ერთმანეთში გაურევთ, ვწურავთ, და შემოსავალს ვუყოფთ ამხანაგებს თანახმად ზათ მიერ მოტანილ ყურძენისა.

— დიდი ხანი გიყენიათ ღვინოები ბოჩკებში? „არა! რამდენიმე კვირა. ჩვენ გვირჩევნია ახალი ღვინოები ვყიდოთ.

— რა მოგებას გაძლევთ მევენახეობა?

— ღმერთს არ დავემდურებით. აი მე, მაგალითად, სთქვა ამხანაგობის მეთაურმა— 2<sup>1</sup>/<sub>4</sub> დესეტინა ვენახი მაქვს. ცუდ წელს 1 დესეტინა მაძლევს 1100 მანეთს, კაა წელს — 1800—2020 მან.

— ძვირია თქვენში მიწა?

— საშუალოდ 1 დესეტინა ღირს 4000—5000 მანეთად და ეს ფასი ჩვენში ჩვეულებრივია.

— რამდენი წელიწადი არსებობს თქვენი ამხანაგობა?

— 10 წელიწადი. ეხლა 130 წევრისაგან შესდგება...

ჩვენი ამხანაგობა ძალიან ძმურად სცხოვრობს, ამაყად ამბობდა გერმანელი კოოპერატორი— არც ჩხუბი, არც დავიდარაბა. ერთობის იდეა ისე გამჯდარი გვაქვს, რომ როცა ჩვენ ამ საერთო შენობას ვაშენებდით, საძირკველი ამოთხარეს და ჩაუყარეს თვით ამხანაგობის წევრებმა სრულიად უფასოდ. შენობა დაგვიჯდა 69000 მანეთად

ამნაირი ამხანაგობა ჩვენს რაიონში 150-დე არსებობს და დიდი სარგებლობაც მოაქვთ, მეტადრე წვრილ მევენახეებისთვის.

როდის ეღირსება ჩვენი—მევენახეობა ასეთს მოწყობას თავისი საქმისას?

კოოპერატორი.

# ქართული რეცენზიის ნიმუში

(ვუნდუნა ბ-ნ კარდელს მისი რეცენზიის კამო „დაჯატი“-ს შესახებ).

**რ ა მ ე ო დ ა ჯ უ ლ ი ე ტ ტ ა .**

ჩვენი სცენაც ეღირსა შექსპირის უკვდავ ტრაგედიას— რომეო და ჯულიეტას. დიდი ხანი ელოდე-

ბოდა ქართული საზოგადოება ამ შესანიშნავ ნაწარმოებს ინგლისის დიდებულის შგოსნის და აი, როგორც იყო, აუსრულდა ეს მთელი დინამიკური და ჯულიეტა შესანიშნავი ნაწარმოებების კვირა არ მოიძებნება მსოფლიო ლიტერატურაში ამისთანა რამ... და თუ მოიძებნება, ძალიან ცოტა... ერთის სიტყვით, დიდებული ნაწარმოებია. თუ ჩემი არა გჯერათ, ვისაც გინდა ჰკითხეთ. სწორედ რომ უბედური ხალხი ვართ... იმის მაგიერ, რომ ჩვენმა უნიჭო პოეტებმა თავიანთი უბადრუკი ნიჭი საკუთარ, მითომდა ორიგინალურ დრამებისა და ტრაგედიების შეთხზვაზე აცუღლლუტონ, ის არ ემჯობინებოდა, — შექსპირის ნაწარმოებნი ეთარგმნათ?! ესეც კი არის!.. შექსპირის თარგმნას — შესაფერი ნიჭი უნდა და კარგი ცოდნა ინგლისურის და ქართულის ენისა.

არ შეგვიძლიან არ დავუმაღლოთ შექსპირის ახალ მთარგმნელს ბ-ნ ჯანჯაკელიას. ქართულ ლიტერატურის საგანძურში შეიტანა თვალსაჩინო წვლილი. ე.ი. მდაბიურად რომ ვსთქვათ, გაამდიდრა იგი. ქართულ ღარიბ ბიბლიოთეკას მიემატა შექსპირის ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანი. თარგმანი ძალიან კარგია, ორიგინალზე ზედმიწევნით.

სამწუხაროდ, ინგლისურ ენის უცოდინარობის გამო პირადად მე ვერ შევადარე თარგმანი დედანს, მაგრამ პეტრე მირიანაშვილმა დამარწმუნა— სიტყვასიტყვით არის ნათარგმნიო. პეტრემ კი ფრანგული იცის და, რაღა თქმა უნდა, ინგლისურიც ეცოდინება. არ შემიძლიან ზოგიერთი შენიშვნით არ მივმართო ნიჭიერ მთარგმნელს. დიდი შეცდომაა, რომ სომხურ თარგმანიდან უთარგმნია ეს ტრაგედია. აბა, წარმოიდგინეთ— რა უშველებელი გზაა: ინგლისური ორიგინალი — მერე ფრანგული თარგმანი, რუსული თარგმანი, სომხური თარგმანი და სომხურიდან — ქართული. რაღა თქმა უნდა, ამ თარგმანთა დაუსრულებელ გრეხილში ორიგინალი საკმარისად შეირყვნებოდა და ვინ იცის, უკანასკნელს თარგმანს აქვს კი რამ მზგავსება დედნისა?! — არა მგონია. ისევ ის ემჯობინებოდა რომ რუსულს თარგმანზე გაჩერებულიყო, მაშინ უფრო ახლო იქნებოდა დედანზე. სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი რომ ქართული თარგმანი მეტის-მეტად ბუნდოვანია, აზრი თვალნათლად როდია გამორკვეული. ენაც ძალიან მოიკოჭლებს, ჟარგონის და პროვინციალიზმის ელფერი სდევს. ამის გამო საუკეთესო ადგილები ტრაგედიისა, იქ, სადაც ტრფიალების გრძნობა შადრევანივით უნდა სჩქედდეს, ფერ-მკრთალია, უნდლილი, წყალ-წყალა და ულამაზო.

უცნაურია ეს ჩვენი დრამატული საზოგადოება! რაში დასჭირდა, ერთი მითხარით, ვილაც ჯანჯაკელიას თარგმანი? მაშინ, როდესაც მშვენიერი თარგმანია ანტონ ფურცელაძისა, რომლითაც ქართულ დასს ეს ტრაგედია რამდენჯერმე წარმოუდგენია. საქმის განცხადებები იმაში კი არა მდგომარეობს, რომ ახალი თარგმანი შეუკვეთო ისეთ მთარგმნელს, რომელმაც არც ქართული იცის და არც სხვა რამ ენა. სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ ახალი რამ შესძინო როგორც სადრამატურგო ლიტერატურას—აგრეთვე სცენას.

მაგრამ სიტყვა ისედაც გაგვიგრძელდა და დრამატულ საზოგადოების გამგეობის ნაყოფიერ მოღვაწეობის შესახებ მკითხველს მერე მოველაპარაკებო.

ჩინებული მწყობრი წარმოდგენა იყო... ისეთი წარმოდგენა იყო, რომ რაღა გითხრათ... ჩვენს სცენაზე ბევრი გვინახავს კარგი წარმოდგენა, მაგრამ ეს სულ სხვა იყო... მსახიობნი თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ კარგს თამაშში. ტრაგედიის უმთავრესს როლებს თამაშობდნენ ჩვენი უნიჭიერესნი მსცოვანნი მსახიობნი: რომეოს—ბ-ნი ვასო აბაშიძე და ჯულიეტას—ქ-ნი ელისაბედ ჩერქეზიშვილისა და აღვილად წარმოიდგენთ, რაც იქნებოდა. რამდენადაც ცეცხლ-შეკიდებული, მჩქეფარე, სიმაშაყით და ჭაბუკურის გრძობა-მეტყველებით იყო აღსავსე—გაპიროვნება, ვასო აბაშიძის მიერ, რომეოს არსებისა, იმდენ სინარჩარეს, სინაზე-სიტურფეს და ჰაეროვნებას განახორციელებდა ელ. ჩერქეზიშვილისა. მშვენიერი სურათი იყო მათი პირველი შეხვედრა, მათი პირველი გამომცნაურება. ახალგაზრდანი შეხვედებიან ერთმანეთს ბაღში კაბულეტისას. ვასო აბაშიძე—რომეო, მოხდენილის, სხარტის მიხვრა-მოხვრით მიუახლოვდა მშვენიერს ჯულიეტას, რომელსაც მორცხვად თავი დაეხარა და ვერც-კი ჰხედავდა თვალი შეველო ჭაბუკისათვის... მოავლო ქალს აკანკალებული ხელი ხელზე და დაუწყა მელიოდიურის ხმით ლაპარაკი. და ჭაბუკის ხმა რაც უფრო თაფლივით მტკბანურდებოდა, იმდენად ბანოვანის სახეზე ყვავილები იშლებოდა და თვალეში სიყვარულის ციმციმი ციალებდა. ვარდის კოკორივით შეკრულ ბაგეზე ღიმილი გაიფურჩქნა და კოხტად გამოქანდაკებულმა გულ-მკერდმა ტოკვა იწყა.

თავბრუ დამსხმელი იყო აგრეთვე სცენა ახალგაზრდათა პაემანისა ბაღში. ახალგაზრდა რომეო—ვასო აბაშიძე—ვეფხვის უსწრაფესად ავიდა ხეზე და

გადასწვდა აივანზე მდგარ ჯულიეტას. მთვარეც ამოსსურდა და გაანათა მოტრფიალენი. თმა აშლილი, თეთრ სამკაულში, მთვარის შუქით გაბედრულის სახით, ჩერქეზიშვილისა გრძნეულის სახის მშვენიერებით იყო აღსავსე.

—ოჰ, რომეო!!!... —გაისმა ქალის ნაზი, სათქუთი ხმა.—

—ოჰ, ჯულიეტა!!!... —უბასუხა ვასო აბაშიძემ მგზნებარე, მთრთოლვარე ხმით. ამ გულის სიღრმიდან ამონაკენეს ძახილს ვნება აშლილად შეუერთდა აღგზნებული ამბორი.

მაყურებელის ოცნების წინაშე სასწაულებრივ აღიმართა საკურთხეველი წმინდა ტრფიალებისა, რომელსაც გალაღებული, ჰასაკში მოსული სიკაბუკე სხვერპლსა სწირავდა. ეს ხელოვნება კი არ იყო—ეს იყო თვით სინამდვილე, სიცხადე.

მაგრამ ნათქვამია—არც მთვარეა უმწიკვლოო.

განსაკუთრებული პატივის ცემა ჩვენს საყვარელ მსახიობთა მიმართ, ვალად გვდებს ორიოდ შენიშვნა მივცეთ მათ: კილო მათის ლაპარაკისა, ცოტა არ იყოს, არ შეესაბამებოდა რომეოსა და ჯულიეტას ჰანგს. როგორღაც ხანუმა-აკოფური იერი სდევდა მათ სიტყვა-პასუხს. მაგალითად, ძალიან მოუხდებოდათ, რომეოს მაგიერ ჩერქეზიშვილს რომ ეთქვა: რომეოჯან და ვასო აბაშიძეს კი—ჯულიეტაჯანო. არც თუ სამკაულის ხმარება ეხერხებოდათ და თავისუფლად როდი გრძობდნენ თავს.

დანარჩენ მოთამაშეთა შესახებ კარგს ვერას ვიტყვი, რადგანაც ერთი-ერთმანეთზე უხეიროები იყვნენ. აბა რა ქართველების საქმეა კაბულეტებისა ღ მონტეკების როლში გამოსვლა?!. თუმცა კი უნდა აქვე აღვნიშნოთ, რომ მწყობრი ანსამბლისთვის მათ ხელი არ შეუშლიათ.

წარმოდგენას თვალნათლად ეტყობოდა მზრუნველ რეჟისორის გამოცდილი ხელი. უქმად არ ჩაუვლია ბ-ნ შალიკაშვილისათვის სამი თვის განმავლობაში მოსკოვში ყოფნას. ბევრი რამ შეუძენია და ყველა ამ შენაძენის გადმონერგვას ჩვენს სცენაზედ ცდილობს. სცენის მოწყობილება წინანდელგებრ ღარიბული როდი მოსჩანდა. თუმცა ყველაფერი ისევ ძველის ძველი იყო, მაგრამ ბ-ნ რეჟისორს ისე მოეწყო, ისე მიელაგ-მოელაგებინა, რომ გემოიანად ამშვენებდა სცენას. მართალია, უკანასკნელი ფარდა ტროპიკულ ქვეყნის ფლორას წარმოადგენდა და წინა კამარა—ჩრდილოეთის პეიზაჟს, მაგრამ ეს სტილიზაციაა—ე. ი. ახალი სიტყვა სარეჟისორო მეცნიერებაში და ყოვლად საქებური. მხოლოდ მთვა-

რე კვლავინდებურად ჯიუტობდა და სწორედ იმ დროს ჩაქრა, როდესაც მოტოფიალენი უნდა გაენათებინა, ალბად იმიტომ რომ არავის არ დაენახა მიჯნურნი. არც ხე მოიქცა რიგზედ... რომეო თითქმის ნახევრად ასული იყო ჯულიეტას აივნამდე, რომ ხე წამოიქცა და ახალგაზრდა მიჯნური მიწაზე გაიშხლართა. ამ ამბავმა საზოგადოება, რომელსაც, ბლომად მოეყარა თავი, ძალიან გაამხიარულა და კარგა ხანს სიცილი არ შეწყვეტილა.

თეატრის დარბაზი ნახევრად ცარიელი იყო.

ტრაგედიას ამ ახლო ხანში კვლავ გაიმეორებენ, თუ სხვა და სხვა გარემოებამ ხელი არ შეუშალათ.

კუოკალა.

## შინა მრეწველობის აგონია ჩვენში\*)

V

წინა წერაღის საინტერესო საკითხი რომ სათანადოთ იყოს გაშუქებული, პირველყოფლისა საჭიროდ მიგვაჩინია გათვალისწინება იმისა, თუ როგორ და რა პირობებში ვითარდება საზოგადოთ უფულ სახელმწიფოში ეკონომიური ცხოვრება, განსაკუთრებით მრეწველობა. ეს იმისათვისაა საჭირო, რომ ჩვენ უფრო ადვილად დავინახოთ თუ რაწინადად ვითარდებოდა მრეწველობა სხვა მხარეებში და აქედან გავიცოთ თუ რა ძალისა უნდა იყოს ან რა მხრივ იყოს მიმართული ჩვენი საკუთარი მუშაობა და ბრძოლა.

ეს საკითხი ჯერ კიდევ არაა კარგად გაშუქებული ჩვენში, მცირე ბუნდოვანობაც დიდ ზიანს მოუტანს არა მარტო მკითხველს, არამედ თვით ამ სტრუქტურების ავტორსაც, რადგან შესაძლოა, მოგვაწერონ სრულიად უაღბო შეხედულება და აზრები, რომელნიც ჩვენ პირდაპირ საზარალოდ და არა სასურველად მიგვაჩინია. აი მაგალითად, მრეწველობის განვითარება—ორივე მხრივ გადის იარაღსა ჭკავს. დღევანდელ პირობებში—როგორც ვსთქვით—სამრეწველო შრომის განვითარება ეს, ასე ვსთქვათ, *conditio sine pua non* არის მთელი ჩვენი არსებობისა მაგრამ ამავე დროს სრულებით არ გვაგვიწოდებს, რომ ეს სამრეწველო განვითარება საშინელ უღელტას და რბევას იწვევს ხალხის ფართე მასში. დღევანდელ პი-

\*) იხ. „კლდე“ № 8, 9, 10, და 11.

რობებში ეკონომიურ ცხოვრების განვითარება ხდება ხალხის გაუფლეთით, საზოგადო სიდიდრის კაპიტალისტების ხელში მოგრაკებით, რომელნიც მრეწველობის გადიდებას და გაფართოებას ერთი მხრივ ხალხის გაფრქვანს მეორე მხრივ, კიდევ მეტი სიმძაფრით აწარმოებენ.

თავის-თავად ეს პროცესი მრეწველობაში აუცილებელია. ქვეყანა, რომელიც კაპიტალიზმის პირველ საფეხურზე სდგამს ნაბიჯს, იძულებული ხდება გადადგას მეორეც. ეს გზა აუცილებელია, ეს ერთხანრი ფატალიზმია თითქმის. \*\*) რა შეგვიძლიან ჩვენ აქა? რა უნდა გავაკეთოთ? უმთავრესი ჩვენი საქმეა ამ კაპიტალისტურ პირობებში, რამდენადაც შესაძლო იქნება მწარმოებელ ძალას, ე. ი. ხალხის ინტერესება იქმნას დაცული, რამდენადაც შეიძლება ჩვენ ხალხს კაპიტალისტურ წყობილებით გამწვეული ტვივილები შევუმსუბუქოთ და სხ. მაგრამ მთელი ჩვენი ცხოვრების თავი და თავი—ეკონომიურ ცხოვრების, ან ამ შემთხვევაში მრეწველობის განვითარება. რადგანაც მრეწველობის განვითარება აუცილებელი გარემოებაა, რადგანაც ადრე იქნება თუ გვიან ცხოვრებამ უნდა გამოიწვიოს იგი მასში, აშკარაა, უფლები ისეთი ზომა, რომელიც ხელფურად აბრკოლებს მის მსვლელობა-განვითარებას, აუცილებლად უკუგაბეჭდული უნდა იყოს.

აქ იხსენებება ჩვენი აზრი: ეკონომიურ განვითარების ხელფურად დამაბრკოლებელი ძალები უნდა იქმნას მოსპობილი—აი ის ნიადაგი, რომელზედაც ერის უფული შეგნებელი ძალა, ხალხის სიკეთის უფულა მოსურნე უნდა დაადგეს, მაგრამ აქედან შეისყე ჩნდება აზრთა სხვა და სხვაობა. ერთნი ალთას მიდიან, მეორენი ბალთას, ერთნი ერთხანრიად თიქრობენ, მეორენი სხვახანრიად. გამოგნახოთ მართალი და ჭეშმარიტი აზრები, რომელნიც უფულაზე უფრო შეგუებთან მთავარ მიზანს: საქართველოს ცხოვრების განვითარებას.

აი სწორედ აქაა საჭირო ისტორიის ნამდვილი ამბები. როგორც ვიცით, მრეწველობა პირველად ინგლისში განვითარდა სათანადოთ. რა ზომებით იქმნა იქ მრეწველობის განვითარებული? იმის მოთხრობა აქ არაა საჭირო თუ რა საშინელი მუსრი გააფლო კაპიტალიზმა და მისმა ინტერესებმა ინგლისელების. კაპიტალიზმის ფილოლოფია—ხალხის გაფრქვანა. ეს უფულასათვის აშკარაა. ჩვენ კი მეორე მხარეს უნდა მივაქციოთ ყურადღება. სასულდობრ იმას, თუ მრეწველობის განვითარების პირველ ხანში სახელმწიფო რა დამოკიდულებაში იმყოფებოდა გარეშე

\*\*) ზოგიერთ ამ წერილში გამოთქმულ აზრს რედაქცია არ იზიარებს და ვებეჭადვთ, როგორც განსაკუთრებით აკადემიური ხასიათის მატარებელს.

სახელმწიფოების, ე. ი. რა პოლიტიკას ეწეოდა იგი, რომ სახელმწიფო მრეწველობა გაქდლიერებინა.

ვაჭრობა-მრეწველობის ისტორიას ჩვენ გვანახებენ, რომ მთავრობის შეგნებული მონაწილეობა ვაჭრობა ალბ-მიცემობის საქმეში ინგლისში იწყება მეზვიდმეტე საუკუნეებიდან. განსაკუთრებით 1651 წელში გამოცემულ საზღვაოსნო აქტადან, რომელიც უმწვერვალესად იქმნა განვითარებული სტიუარტების და რუოლფუციის გვირის — კრომველის ხელში. მეზვიდმეტე საუკუნეში კრომველის პოლიტიკა თითქმის ყველა სახელმწიფოებში იქმნა გამთენიებული. მაგალითად საფრანგეთში მინისტრ კოლბერის მართველობის დროს, პრუსიაში ფრიდრიხ მეორეს ხელში, რუსეთში პეტრე დიდის, ავსტრიაში — იოსებ მე-II-ს და სს. სახელი პოლიტიკის — რომელსაც მაშინ ასე ერთსულოვნებით აღიარებდნენ ყველა ქვეყნის მთავრობანი განლაგეს პროტექციონიზმი: ალბ-მიცემობაში მიფარველობითი სისტემის აღიარება. ამ უამად, მთელ ევროპაში ვერ ნახავთ სახელმწიფოს — გარდა უკვე გამოქვარებულ ინგლისისა, — სადაც მიფარველობითი სისტემა ერთი უდადეგი და უძნელესი საკითხთაგანი არ იუოს სახელმწიფოს ცხოვრებაში. გადახედეთ მარტო დღევანდელ ავსტრო-ჰუნგრეთის მდგომარეობას. როგორც ვიცით, 1867 წლის ევრედ წოდებულ Ausgleich-იდან, ჰუნგრეთსა და ავსტრიას შორის თავისუფალი ეკონომიური ალბ-მიცემობა აქვთ და დღეს იქ ისეა საქმე გამწვავებული, განსაკუთრებით ჰუნგრეთის მხრივ, რომელიც რამდენადმე სამეურნეო ქვეყანაა, რომ ღუი კომუტის პარტია პირდაპირ მითხროვდა ერთიან გამომთიშვას და სადამოფნო კედლების აღმართვას, რათა ამ გზით ჰუნგრელებს მიფარველობითი პოლიტიკის დროშა აუფრიალებინათ და მრეწველობა ინდუსტრიაის საქმე წინ წაუყვანათ. ვინ ხამოსთულის ფრანც იოსების მთავრობა რა დათმობას არ ადგია, რომ როგორმე ჰუნგრელებს თავისი არ გააუფანინონ, მაგრამ ამ ხელფრურ კავშირის იმედი დღეს თითქმის აღარავისა აქვს და დღეს თუ ხვალ სომხელ წინააღმდეგობით იფეთქებს. თავისუფალ ინგლისშიაც კი პროტექციონიზმის მომხრენი დღითა დღე მრავლდებიან და ვინ იცის ეგების ინგლისის პარლამენტს კიდევ მოუწიოს საშინო ბილზე (კანონზე) თავის ტეხამ. უფულ შემთხვევაში, პროტექციონიზმი დღევანდელ კაპიტალისტურ სახელმწიფოების ხამდვილი კერძია, უმთავრესი იმედი მათი ინტერესების დაცვისა...

განვიხილოთ რას წარმოადგენს პროტექციონიზმი, რას ემსახურება, რა საჭიროა იგი?

ჩვენ უკვე მოვასწარიყ იმის აღნუსხვა, რომ პროტექციონიზმი — მიფარველობითი სისტემაა. ეს მიფარვე-

ლობა მრეწველობისა მომდინარეობს სახელმწიფოს ძლიდან. მისი მინაარსი შემდეგია. სახელმწიფო ვითარდება მრეწველობა, დამუშავებული წარმოება. ამ განვითარებას დღევანდელ პირობებში უდიდესი მფარველობა მოძღვრებით, შემობელ კაპიტალისტურ სახელმწიფოდან მოქლის. რაკი ადგილობრივი წარმოება ვერ არაა კარგად განვითარებული-გადლიერებული, ნყოფი უძლურ შექარხნისა უფველთვის ძვირად ჯდება და თან ხარისხის მხრივ უფრო მდარე, დაბალია, ვიდრე ნაწარმოები ძლიერ და ათასნაირ საუკეთესო იარაღებით აღჭურვილ შექარხნისა. თუ ეს განვითარებული შექარხნე უცხოელია, და მას თავისუფლად შეუძლია თავისი ნაწარმოების შემოტანა უძლურ შექარხნის სამეფოში, ცხადია რომ უძლური შექარხნე მალე გაკოტრდება, ხალხი მხოლოდ ძლიერ შექარხნის საქონელს იუიღის, რომელიც უფრო იაფივ არის და უმჯობესი თვისებისა. აქედან ძლიერ შექარხნის საქმე უფრო უკეთ მიღის, ის თავის საქმეს აფართოებს, მისი საქმის გაფართოებით სარგებლობს მთავრობაც, ეკონომიური ცხოვრებაც და ამ რიგად უძლური სახელმწიფო კიდევ უფრო აძლიერებს თავის ძლიერ მეტოქეს, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს — კარგად რომ მოეწეობა მისი საქმე — პოლიტიკურადან ხუფაზავს მას ამკარაა, რომ ასეთი ბედი ყველა მთავრობას, ყველა სახელმწიფოს შესძინებს და აი სწორედ ამით აიხსნება, რომ უფული სახელმწიფო თავის უძლურ შექარხნეებს ათასნაირ ხელფრურ საშუალებით ეხმარება. ამკარაა აგრეთვე, რომ ამ შემთხვევაში ხალხის ინტერესები სრულიად არაა ანგარიშში მიღებული. უმთავრესად ეს ხელფრური საშუალებანი ინატება დამოფნების შექმნაში. შენი საქონელი კარგია? კეთილი, ჩემს სახელში შესს საქონელს შემოგატანინებ, მაგრამ ისე რომ შენმა საქონელმა ჩემსას არაფერი ავნოს, — ეუბნება უძლური სახელმწიფო ძლიერს და ამისათვის ადებს ძლიერ სახელმწიფოს საქონელს სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ განსაზღვრულ ბაჟს. რამდენადაც დიდა ეს ბაჟი, იმდენად საქონელი ხელფრურად გაძვირებულია, იმდენადვე დაცულია ადგილობრივ ვაჭარ-მრეწველების ინტერესები. ბაჟ-დადებული საქონელი ძვირი ხდება, მომხმარებელი ხალხი ამ ბაჟ-დადებულ საქონელს ვეღარ უიღულობს, ამ რიგად შეიძველებს, ძალაუნებურად უხდებათ, საქმე თავის სახელმწიფოს მრეწველებთან დაიჭიროს, რომლის სუსტი საქონელიც უნდა გაასაღონ. ამნაირად ხალხი იფიქვნება და ძლიერდება მრეწველი. ამ გზით ვითარდება უფულ მხარეში კაპიტალიზმი. მხოლოდ უკვე დიდად გამოქვარებულ სახელმწიფოს არ ეშინია სხვა ქვეყნების მეტოქეობისა: მობრძანდი, შეჭიდავე, რას დაშაკლებ, როცა უფლიც შე მაქვს და საუკეთესო იარაღებიც. და

მართლაც დღეს-დღეობით მხოლოდ ინგლისია, რომელსაც სხვა ქვეყნების მეტოქეობა სრულიად არ აშინებს.

ამაინადად, ჩვენ მივედით იმ აზრამდე, რომ დღევანდელ წირობებში ყოველი სახელმწიფო განსაკუთრებული ზომებით, პროტექციონიზმით აწვითარებს თავის ეკონომიურ ცხოვრებას.

რა გაგაკეთოთ?

ჩვენ ყოფიქრობთ რომ პროტექციონიზმის სული და გული ჩვენ ძლიერ გასაკებად დავახსნიათ; აშკარად დავინახეთ, რომ ხალხის მასა პროტექციონიზმ-გაპიტალიზმის სამსხვერპლზე ერთიანად იფიცუნება, მაგრამ სიმართლე უნდა თამამად იქმნას აღიარებული, რომ დღევანდელ გაპიტალიზმურ წყობილების წირობებში უამისოდ მრეწველობის განვითარება პირდაპირ შეუძლებელია. ხოლო ერთი, რომელთაც მზრუნველი მთავრობა აღარა ჰყავს, ერები, რომელნიც უძლეურნი არიან არა მარტო მრეწველობის, ეკონომიურის მხრივ, არამედ სოციალ-პოლიტიკურადაც, აი ასეთ ერების მდგომარეობა რა თქმა უნდა გაცილებით რთული და უარესია.

ჩვენ ისევ საქართველოზე ვიფიქროთ და გავიგოთ თუ რა გზას უნდა დავადგეთ, რომ ჩვენი ცხოვრების აუცილებელი საფეხურები თავისუფლად და ნაკლები ტვივით გავიაროთ.

ნოე ჯორჯიანის ერთ-ერთ სახასუხო წერილში, სადაც ირვევს ჩვენი სხეულის—ერის—საჭირ-ბოროტო საკითხები, თავის შესედელების დასაცავად არჩილ ჯორჯიძე გამდიოდა შემდეგი კრიტიკიუმიდან: „ჩვენი უბედურება წარმოსდგება საქართველოს სახელმწიფოებრივობის მოსპობით, რომ თუმცა ეს სახელმწიფოებრივი წყობილება უვარგისი და გამოსადეგარი იყო, მაგრამ **საქირო იყო მისი რეორგანიზაცია და მისი გაუმჯობესობა და არა მოსპობა**“ (კურსივი არჩილ ჯორჯიძისა)\*) თუ ჩვენ მსოფლიო ქვეყნების ისტორიას მივიღებთ მხედველობაში და ერთხნულ სახელმწიფოების როლს ერთხნულ ეკონომიურ (აქ სამრეწველო) ცხოვრების განვითარებაში, ჩვენ აუცილებლად უნდა დავეთანხმეთ ბ. არჩილ ჯორჯიძეს, რათა მივიჩნიოთ ფაქტებით მტკიცდება, რომ არც ერთი პოლიტიკური მართველობის ფორმა ისე არ უწყობს ხელს მრეწველობის განვითარებას როგორც **საკუთარი სახელმწიფო**. სულ სხვა საკითხია, თუ ვის მიზანს ემსახურება, ვის ინტერესებს შეადგენს საკუთარ სახელმწიფოს ასეთი მიმართულება. მაგრამ ბოლოს თვით მშრომელ ხალხისათვის პროგრესიული არაა, როცა მრეწველობა ვითარდება, ვიდრე ანაციონალურმა ძალამ სრულიად აღარ განვითაროს მრეწვე-

ლობა, ხოლო ხალხი კი მაინც გაფიცვნილი დარჩეს? ხალხი რომ არა თავისუფალი და შეძლებული, მრეწველობის განვითარებლობით? და მრეწველობის განვითარება—ეს აუცილებელი საფეხური ჩვენი ცხოვრებისა— რომ უბრალოდ, ტუილად ფერხდება, რასაც მოჰყვება მთელი ცხოვრების გაუინვა, დაძაბუება? ხალხის ფართე მასა თანამედროვე ცხოვრებაში ვერაფრით ვერ ასცდება გატყავებას და თუ კი ამ ტყავის გაძრობაში დუხჭირ ცხოვრების ერთი ქერქი მაინც შეგარჩინა—ესეც სასიკეთოდ უნდა ჩაითვალოს. ჩვენის აზრით, მკაცრი პროტექციონური პოლიტიკა საკუთარი სახელმწიფოსი გაცილებით მეტ-ნაყოფიერი იქნებოდა მთელ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებისათვის, ვიდრე ანაციონალურ ძალის მუშაობა ჩვენში, რომელმაც ხალხის გატყავება მაინც შესრულა, ხოლო ეკონომიურ ცხოვრებაში კი უკან დაგვახევინა.

მაგრამ საკუთარი სახელმწიფო საქართველოს აღარა აქვს. ჩვენ უფრო პრაქტიკულ სინამდვილეს დავახლოვდეთ და ვიბანსოთ იმაზე რაც არის, რასაც ვხედავთ და რის მოგვარება უველა ჩვენი ძალების აუცილებელი საქმია.

როგორც ვსთქვით, რუსეთის გაბატონებაში, ჩვენში გაბატონა რუსეთის ძლიერი ფაბრიკა-მექანნიკები, მათი საქმელი გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე ქართული-ეროვნული, ძლიერ რუსის საქმელს ადგილობრივი ვედარ გაუწევდა მეტოქეობას, ჩვენს მრეწველობას დამოყნები რომ არ იცავდნენ ძლიერის მეტოქეობიდან და ამიტომ ჩვენში ძველად არსებულ შინა-მრეწველობის დარგებში—რომელიც ბუნებრივის განვითარებით უმაღლეს გაპიტალიზმურ ფორმაში უნდა გადასულიყო—სრულიად დაუძლეურდა და ისპობა. რომ წარმოვიდგინოთ, ვითომ საქართველო ერთ მშვენიერ დღეს მოსწყდა მთელ სამყაროს, მაშინ დავინახავთ თუ რა სიდატაკეში დარჩება ხალხი, რომელიც თავს ვერ დაიკმაყოფილებს არა თუ სამრეწველო საქმელით, არამედ სამეურნეოთიც.

არჩილ ჯორჯიძეს მაგალითად ძლიერ კარვად აერთმეუკა ადღა ჩვენი ცხოვრების ამ მხარის (და რომელის არა?) დარგევა-განადგურებისათვის, მას შეუგნია აგრედვე, რომ მრეწველობის განვითარების საფეხურზე ჩვენმა ქვეყანამ ფეხი უკვე ასდგა; ამიტომ, ჯორჯიძეც აღიარებს, რომ ჩვენი ცხოვრების შემდგომი განვითარებლობა პირდაპირ შეუძლებელია. პირაქით, ჩვენ მხარეს საკუთარი ფულიანი და მრეწველობის ხალხი დიდათ ესაჭიროება, იუხედავად იმისა რომ ეს ფულიანი ხალხის განვითარება მოასწავებს მასის გატყავებას, მაგრამ თუ როდღე უფრო იოლის ატანა სახეირო, ვინემ უარესის ამორჩევა. ამიტომ არჩილ ჯორჯიძე მკაფიოდ აღიარებს, რომ

\*) იხ. არჩილ ჯორჯიძის თხზულებათა პირველი წიგნი, გვ. 109.

ჩვენს ეკონომიური პროგრამის დედა-აზრი — საქართველოს ეკონომიური გაერთიანება უნდა იყოს და ამ გაერთიანება-გაძლიერებისათვის საჭიროა მტკიცე მფარველობითი სისტემის გზის დავადგეთ. ჩვენს ფაქტობას, მრეწველობას და მეურნეობას მფარველობა უნდა აღმოუჩინოთ, ვინაიდან ქართველ ხალხის კეთილდღეობისათვის აუცილებლად საჭიროა ეკონომიურ მონობიდან განთავისუფლება“ \*) (ციტატებში კურსივი ავტორებისა).

ბ. არჩ. ჯორჯაძის აზრი მეტად ამკარად და სადათაა გამოთქმული. უფუელი მკითხველი ხედავს მის სუფსა და გუფს. მაგრამ საქართველოს ეკონომიური პოლიტიკა — უმთავრესი საქმეა უფუელ დამოუკიდებელ სახელმწიფოსი და უფუელ დამოუკიდებულ ქვეყანაში მიჩქმალული და მიგდებულა ეს პოლიტიკა. ეს კარგად ესმის ბ. ჯორჯაძესაც, ის აწმოდან არაფერს გამოელის და მოუწოდებს ჩვენს ხალხს ავტონომიის შესქმნელად, ეკონომიურ დამოუკიდებლობის აღიარებას, რათა ამ დამოუკიდებლობით ხალხმა გაანვითაროს სრული და საჭირო მფარველობითი სისტემა.

საკითხი მგრძობიარე საგანს ეხება, ეს არის და ნიშნავს ქართულ კაპიტალის გაბატონებას რუსულ კაპიტალზე და უჭვი არაა თუ რა სასტიკს, პირდაპირ წარმოუდგენელ წინააღმდეგობას გაუწევს ქართველობას რუსეთის მთავრობა. თუ გადავხედავთ ანოლოგიურ მაგალითებს ევროპის ცხოვრებიდან, ავით რუსეთის აგრესიულ — იმპერიალისტურ პოლიტიკას ავარომევეთ ალღოს, რომელიც ბოლოს რუსულ კაპიტალის ბატონობისაკენაა მიმართული, ჩვენ პირდაპირ ოცნებად უნდა ჩავითვალათ საკუთარ დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაბრუნება და ხორცის შესმა. დღევანდელ პირობებში ეს ნამდვილი უტოზია, ოცნებაა. მაგრამ ავტონომიაც ხომ არ მთასწავებს საკუთარ ეკონომიურ პოლიტიკას წარმოებას? ფინლანდიან ავტონომიური მართვა-გამკება აქვს, ავტონომია ჰქონდა ელფონეთსაც, მაგრამ ისინი არასოდეს ვერ აწარმოებდნენ საკუთარ მხარის შესავერ დამოუკიდებელ ეკონომიურ პოლიტიკას, დამოუკნები მათ მხარეს და რუსეთის საზღვრებზე არ ანსებობდა, ასე რომ რუსულ კაპიტალს რამდენათაც შეეძლო თავისუფლად ახერხებდა ნაციონალურ კაპიტალის დათრგუნვას. დააკვირდით ავსტრო-ჰუნგრეთს, ეს სახელმწიფოებრივი მართვა-გამკება მრავალის მხრივ არის საურადღეობა და მაფაქრებელი და მიუხედავად იმისა, რომ ორთავე სახელმწიფოს (ავსტრიასაც და ჰუნგრეთსაც) საკუთარი დიდ-უფლებიანი საკანონმდებლო მართველობა აქვთ, მათ შორის დამოუკნის კედელი არაა ამართული და მიუხედავად ჰუნგრელების სურვილისა ავსტრიელებმა გზა არ მისცეს ჰუნგრე-

ლების სურვილებს. ჰუნგრეთიდან თავის მხრივ ავტონომიურადაა გამოყოფილი, მაგ., კროატია, მართლაც ამასაც აქვს საკუთარი პარლამენტი, ჰყავს მინისტრები და სხ. მაგრამ კროატელებს მაინც ვერ მოუხერხებიათ, ჰუნგრელებს თავი დააღწიონ და თავის მხარის ეკონომიური კეთილდღეობა სათანადო პოლიტიკით დაიცვან. განა ბრუსიის ოუდერატიულ კავშირში ბრუსიამ კია ხანია არ დაანგრია სადამოფნო კედლები? და რამდენიც უნდა იმეცადინოს სხვა და სხვა მოკავშირე ჰერცოგებმა, ისინი ვერას გახდებიან, თავის ჰეგემის სასარგებლო ეკონომიურ პოლიტიკას დამოუკიდებლად ვერ აწარმოებენ. ჰერ კიდევ ვის არ ახსოვს, თუ რამდენი ბრძოლა და აჯანყება მოახდინეს ამერიკელებმა, რომ ინგლისის ეკონომიურ პოლიტიკის ბრჭყალებიდან განთავისუფლება მოეხერხებინათ. ვის არ ახსოვს და არ ხედავს თუ რა საშინელ მხნეობით იბრძვიან ირლანდიის ჰომრუდიონები ირლანდიის სრულ დამოუკიდებლობისათვის და განა ჰომრუდიონების სასურველი ბილი, რომელიც პირველად ქვედა პალატამ დიდებულ გლადსტონის ხელში მიიღო ანიჭებდა ირლანდიას სრულ ეკონომიურ თავისუფლებას?

ჟველა ეს მაგალითები, და სხვა მრავალნი — რომელთაც ჩამოთვლა აქ მეტად მიგვახნია — ჩვენ პირდაპირ გვანახებს, რომ პოლიტიკური ავტონომიაც რომ მივიღოთ, ამით თავისუფლად, სრულ — საკუთარ ეკონომიურ პოლიტიკას — პროტექციონიზმს ვერ განვაფითარებთ. და ეს არც იმდენად სასურველია. ხოლო უტოზიურ პლანების შესება სიზიფის მუშობაა, წულის ნაუვა და მეტა არა-ფერი.

მაშ რა უნდა ვაკეთოთ? სიათ წავიდეთ?

თევდ. ლლონტი.

## საუბარი შვეიცარიაზე

(წერილი მეორე)

თუ პირველ წერილში მე შევეხე შვეიცარიელთა სიყვარულს საკუთარ ბუნებისადმი, მთებისა, ბარისა და ტბებისადმი, ეხლა მინდა ორიოდე სიტყვა გავიზიაროთ მათ სიყვარულზედ საზოგადოთ სამშობლოსადმი.

შვეიცარიაში სულ 3.400,000 მცხოვრებია, რომელიც შესდგება სამი ეროვნებისაგან: გერმანე-

\*) იხ. არჩილ ჯორჯაძის თხზულებათა მეოთხე წიგნი, გვ. 33.

ლები, ფრანგები და იტალიელები. მიუხედავად ასეთის სიჭრელისა, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრება სწარმოებს ნაციონალურ შუღლს გარეშე. პირიქით, გაერთიებულნი საერთო ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი იდეით, ისინი ყოველ თავის ნაბიჯს უქვემდებარებენ ამ უმაღლეს მცნებას.

პირდაპირ განსაცვიფრებელია, როგორ შეგნებულნი აქვთ ყოველი ძირითადი საერთო საზოგადოებრივი — და პოლიტიკური მიზანი. ეს მით უფრო საკვირველია, რომ მათი მსოფლ-მხედველობა, კულტურა, მათი ლიტერატურა და ეთიკა ვითარდება სხვა და სხვა ძლიერ სახელმწიფოთა გავლენით: ფრანგების კანტონები (ჟენევისა და ლოზანისა) განიცდიან დიდს გავლენას საფრანგეთისას; გერმანელებისა (ციურიხის და ლუცერნის კანტონები) — იმ ყოფებიან გერმანიის ზეგავლენის ქვეშ; იტალიელები (კანტონი ტესინო) იტალიისა.

თითო ეროვნება სცხოვრობს განსაკუთრებული შინაგანი ცხოვრებით, ისინი ავტონომიურად განაგებენ ყოველ თავის საქმეს, თავისებურად ანვითარებენ კულტურას, მაგრამ როცა საკითხი შეეხება სახელმწიფოს, ანუ უკეთ, ეროვნულ საქმეს, ყველას, როგორც ერთ კაცს, — ერთი პირი აქვთ.

კანტონებს შორის (და არა ეროვნებათა შორის) ხშირად მოხდება ხოლმე უთანხმოებანი, მაგრამ მათ უბრალო კონკურენციის ხასიათი აქვთ განათლების რეაქციონის ნიადაგზედ, ან ზოგჯერ პროგრესზე და რეაქციონობაზე დავობენ. ნამეტანად გაძლიერებულია კონკურენცია ყოველ კანტონებისა ხალხურ განათლების ფარგლებში. ამ განათლების საზომად მიღებულია რიცხვი ნასწავლ ახლად გაწვეულ ჯარისკაცთა. ყოველწლივ მოუთმენლად ელიან ყველანი ოფიციალურ განცხადებას სამხედრო უწყებისაგან, თუ რამდენი და რა ხარისხის მკოდნე აღმოჩნდა გაწვეულთა შორის. ყოველ კანტონში მრავალი ფული იხარჯება სწორედ ამ შეჯიბრებაზედ განათლების საქმეში, რომ აჯობონ მეზობელს. ამ გვარად პატარა შვეიცარია ჩქარის ნაბიჯით მიდის პროგრესისაკენ. არ შეიძლება ითქვას, შვეიცარიელი მაინცა და მაინც ნიჭიერი ხალხი იყოს, მაგრამ მათი ტექნიკური, მედიკური და სხ. განვითარება და გაუმჯობესებანი სწრაფად იზრდებიან, რადგან მეტად მტკიცე ხასიათისა და მუშა ხალხია, მეტად შეგნებულად ეკიდება ყველა მათგანი პროფესიის არჩევანს და ნამეტანად აკავშირებთ ერთად ეროვნული გრძნობა.

რაც შეეხება მათს სიმტკიცეს და მტკიცობას — ეს ყველამ იცის, მაგრამ უკანასკნელ ორ მოვლენაზედ, მინდა ცოტა დიდხანს გავჩერდე, რადგან ჩვენთვის, ჩვენს ეროვნულ თვით-გამორკვევისთვის ამას ბევრი საინტერესო მხარე აქვს.

როგორც ვსთქვი, შვეიცარიის პროგრესი დამოკიდებულია ამ მოვლენებზედ და ამის გამოსარკვევად შევჩერდეთ გაკვრით მის სწავლა-განათლების და აღზრდის სისტემაზედ.

ოთხ წლამდის ბავშვი განსაკუთრებულ სამზრუნველო საგანს შეადგენს ოჯახში. უმთავრესი ყურადღება მიქცეულია მის ფიზიკურ და სულიერ განვითარებაზედ. ამ ხნიდან ბავშვს თავისუფლად შეუძლიან თამაში უცხო ბავშვებთან, ხშირად მაზედ უფროსებთან და ამ თამაშში სწავლობს პირველად საკუთარი თავის დაცვას, რადგან უფროსები არ ერევიან საქმეში.

იმათ შთამომავლობითა აქვთ შეთვისებული პრაქტიკული საზრისი და ადვილად ითვისებენ ყოველ პრაქტიკულ ცოდნას. 4 წლიდან ხშირად ისინი ეხმარებიან მშობლებს შინაურობაში, დადიან სავაჭროდ და უვლიან უნცროს ბავშვებს. სავალდებულო სწავლა იწყება 7 წლიდან. 10—15 წლამდის მშობლები ადევნებენ თვალს, თუ რა უფრო ემარჯვება ან ახალისებ ბავშვს და ამის-და-გვარად ანვითარებენ მას, აძლევენ შესაფერ სასწავლებელსა ან სახელოსნოში. იშვიათი მოვლენაა, მშობლებმა ძალა დაატანონ და იმ ხელობაზედ გაგზავნონ შვილი, რომელიც მას არ ეგუება, რადგან კარგად ესმით რომ ასეთი ძალდატანებისაგან სარგებლობა მეტად საეჭვოა. შვეიცარიელები არა სკდილობენ თავიანთ შვილებს უთუოდ კლასიკური განათლება მისცენ, როგორც ჩვენში, ან ნამეტანად საუნდერსიტეტო. იქ ყოველი მოსწავლე მისდევს თავის ბუნებრივ მისწრაფებათ და ნიქს. მათ არა სჭირია დიპლომის ქალაქი ადამიანობის კვალიფიკაციისათვის, როგორც ჩვენში.

ამიტომ უნივერსიტეტში მიდიან მხოლოდ ისინი, ვისაც ამისი უნარი აქვს, სხვები კი სწავლობენ სხვა და სხვა კომერციულ, ტექნიკურ სასწავლებლებში, ან პრაქტიკულად ემზადებიან სახელოსნოებში, როცა პირველ დაწყებით სწავლას დაამთავრებენ. და ყოველი მათგანი როგორც მარგებელი შვილი სამშობლოსი, პატივის ცემას იმსახურებს ყველგან, იმის და მიუხედავად, თუ სად მიიღო სწავლა. შვეიცარიელთა შეხედულებით, სჯობია, ადამიანი ნახევრად უსწავლელი იყვეს და გამოსადეგი წევრი საზოგადოებისა, ვიდრე დიპლომიანი და უსაქმური.

ყველა ამას გარდა, ბრძოლა არსებობისათვის, ადრე აღვიძებს ბავშვებში თვითშეგნებას. რაკი იციან, რომ დიდხანს ვერ ისხდებიან მშობლების კისერზედ, სცდილობენ რაც შეიძლება მალე დადგნენ საკუთარ ფეხზედ, და ამა თუ იმ სამუშაოს მოპკიდონ ხელი.

შვეიცარიაში როგორც ინგლისში, განსაზღვრულ დროს, სრულ წლოვანობას რომ აღწევენ შვილები, ცალკევდებიან ოჯახისაგან და თუ შინ რჩებიან, მშობლებს უნდა აძლიონ ფასი, რამდენსაც დახარჯავენ.

ყველა ეს — შთამამავლობითი პრაქტიკული ცხოვრება, თავისუფალი აღზრდა შვილების ნიჭისა და უნარისა, შეგნება საკუთარ ფეხზე დგომისა და ბოლოს განსაკუთრებული სპეციალიზაცია მუშაობისა, — ჰქმნის იმ მოვლენას, რომ შვეიცარიას ერთი პირველი ალაგთაგანი უჭირავს ევროპის ტენიკასა და მეცნიერებაში.

მაგრამ უმთავრესად წასწია წინ მათი ეროვნული კულტურა, ხელი შეუწყო პროგრესსა და საუკეთესო კულტურულ ხალხთა ფერხულში ჩააბა **ეროვნულმა გრძნობამ**, მხურვალე და შეგნებულმა სიყვარულმა სამშობლოსადმი.

ბევრია მაგალითი, როდესაც ცნობილი მეცნიერნი, ექიმნი, პროფესორები, რომელთაც შემთხვევა ჰქონიათ სხვაგან სახელის მოხვეჭისა და გამდიდრებისა, — აქვე დარჩენილან არ გაშორებიან სამშობლოს, რადგან მოვალეობად მიაჩნიათ მუშაობა და სარგებლობის მოტანა საკუთარ ერში. ისინი არ გარბიან სამშობლოდან და ხალხიც აფასებს ამას, თავის სიამაყედ სთვლის და ყოველ ღონესა ხმარობს, რომ შესაფერი პირობები შექმნას მათი განვითარებისა და მოქმედებისათვის. ხალხისა, საზოგადოებისა და ამ „ეროვნულ მოქალაქეთა“ შორის, როგორც მათ ეძახიან, სუფევს ღრმა და კეთილი კავშირი; ისინი ერთს ეროვნულ-კულტურულ ოჯახს შეადგენენ.

ამას არავინ არ უყურებს, როგორც მსხვერპლს, არამედ როგორც ნამდვილ შეგნებას ეროვნული მოქალაქობრივობისას.

ჩვენს სამშობლოში რომ გადმოვიხედოთ ამ თვალსაზრისით, რას დავინახავთ?

უმეტესობა უფრო ნიჭიერთა და სასარგებლო მუშაკთა გარბის საზოგადოებიდან. სად არის ჩვენი ინტელიგენცია? რამდენი ათავებს ქართველი სტუდენტი კურსს და რამდენი ბრუნდება საქართველოში? მცირედი პროცენტი მხოლოდ.

მეორეს მხრით შეიძლება ბრალი მთლად ამ ახალგაზრდობას მოვახვიოთ და უფრო ნიჭიერს ელემენტებს?

ამას ხელს უწყობს ჩვენი ღარიბი საზოგადო ცხოვრება. ჩვენი დეზორგანიზაცია და უსრცხველობა. ჩვენს ინტელიგენციას ბევრი საზრუნველი აქვს, მაგრამ ვერაფერს მიუდგება, რადგან მატერიალურად ღარიბნი ვართ და არა გვაქვს პირობანი, საცა მას შეეძლოს საკმაო ჯილდოს მიღება თავისათვის და მუშაობა საზოგადოებისათვის. ინტელიგენცია გარბის იქ, საცა შეუძლიან მეტ ფასად გაჰყიდოს თავისი სამუშაო ძალა, საუბედუროდ შორს სამშობლოდან.

ჩვენ არა გვყავს საკუთარი ბურჟუაზია; საკუთარი მრეწველობა არა გვაქვს და ამიტომ ცხოვრების ასაყვავებლად უნდა განვაფითაროთ ამხანაგობანი, კოოპერაციები და სხ. ამგვარი საზოგადოებრივი ორგანიზაციები; ჯერ ერთი, როგორც მარგებელი ხალხისათვის, საცა იგი ითვისებს შეგნებას სეართო ინტერესებისას და მეორეს მხრით, როგორც მიმზიდველი იარაღი ადგილობრივ ინტელიგენტურ ძალთა

ლ. დიასამიძე.

## წერილი მოსკოვიდან

სულ ცხრა თვეა რაც მოსკოვში არსებობს „ქართულთა საზოგადოება შენობებისა, ხელაწიებისა და ლიტერატურისა“. საძირკველი ამ საზოგადოებას ჩაუყარა ახალგაზრდა ქართველთა წრემ კომპოზიტორ დ. ე. არაიშვილის შეთაურაბით. ჯერ ისევე არა ოფიციალად საზოგადოება იყო ეს საზოგადოება, როდესაც მოიწვიეს ხელმძღვანელად აწ განსვენებული ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილი. მას შემუშავა წესდება და მისივე შეცადინუბით მთავრებამ დაამტკიცა ეს წესდება. მისში საზოგადოების წესდება დაამტკიცდა და სამი თვის შემდეგ გარდაიცვალა ხახანაშვილი. ამხარად საზოგადოებამ დაჯარჯა მოთავე საქმისა.

განსვენებულმა არ დაივიწყა თავისი ხანამკარი და დაუტოვა ანდერძად ამ საზოგადოებას. 1000 მან.

მას შემდეგ, როდესაც „საზოგადოებამ“ მთაწესრიგა შინაური საქმეები, დანიშნა ჰირველი საჯარო სხდომას ალექსანდრე სოლომონის ძის ხახანაშვილის სახსოვრად. კრება მოხდა ამ წლის მარტის შვიდში. სადამოს რვა სა-

ათხედ კრება გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ დ. ე. არაუიშვილმა. დაესწრნენ ხასხასვილის მეგობარნი, ნაცნობნი და მოსკოვის ქართველები.

ამავე კრებაზედ განსვენებულ ხასხასვილის ხსოვნას უძღვნეს მოხსენებანი: ნ. ი. იანჩუკმა, შრ.—დ. კრიმსკიმ, ნ. ნ. ღურნოვომ, დ. ე. არაუიშვილმა, გრ. მ. ჯაფარიძემ და ვლ. მ. ჯაფარიძემ.

მოსკოვის უნივერსიტეტში არსებულ მუსიკალურ-ეთნოგრაფიულ საზოგადოების თავმჯდომარემ ნ. ა. იანჩუკმა წაიკითხა მოხსენება და აღნიშნა, თუ რა დიდი დანაკლისია ხასხასვილის სიკვდილი ქართველებისთვის. მუც — სთქვა იანჩუკმა — 25 წელია ვიცნობ ხასხასვილს და მაგისთანა ზეტოისანი, საქმეზედ თავდადებული მუშა-კი და ღრმად მოუყარული ადამიანი თავისი სამშობლოსი იშვიათად შემხვედრიათ. მან სთქვა: „უფრო დახლოვებით გავიცანი ხასხასვილს მაშინ, როდესაც უერთნაღს „Этнографическое обозрение“-ს რედაქტორი ვიყავი. მე გავიცანი იგი, როგორც საუკეთესო მცოდნე არა მარტო ქართული ეთნოგრაფიისა და ლიტერატურისა, არამედ მთელი კავკასიისა. იგი მუდამ სამუშაოს უჭდა და უოველ მასალას, რაც კი იყო ნაშთი ხელთნაწერი ან სხვა რაზე ქართული ცხოვრების შესახებ, იუენებდა და მნიშვნელოვნად ჭებდა.“

მან დაიწყო ერთი ფრად მნიშვნელოვანი საქმე — შედგენა ბიბლიოგრაფიისა იმ ეთნოგრაფიულ ცნობათა საქართველოს და კავკასიის შესახებ, რომელნიც კანკუ-ულნი არიან სხვა და სხვა პერიოდულ გამოცემებში მთელი მცხრამეტე საუკუნის განმავლობაში. ამიტომ მე ურჩიე: რადგანაც მოსკოვში არსებული მასალა ცოტა იყო, გამოეწერა „ეთნოგრაფიული საზოგადოების“ სახელით ზეტერბურგიდან და თბილისიდან სხვა მასალებიც. იმედი გავკვიმართლდა და მასალები მოგვივიდა.


მან ეს მასალები, მიღებულნი „ზეტერბურგის სახლხო ბიბლიოთეკიდან“ და თბილისიდან, გადაათვალიერა და ამოჭკრიფა მრავალი ცნობა, რომელნიც ფასდაუღებელი არიან არა მარტო ეთნოგრაფიის, არამედ მთელი კავკასიის შესასწავლად.

მან იმდენი შრომა ჭქონდა საქართველოსა და კავკასიის შესახებ, რომ ეს ნაშრომი ჭებდა დიდ ადამიანად რუსებისთვისაც. მისი სიკვდილი ჩვენი დანაკლისიც არის, როგორც მეცნიერი „ინოროდეც“-ისა ამ სიტუვის ზეტოისურის მნიშვნელობით.

კიდევ უნდა აღვნიშნო, რომ დიდი ნიჭისა და უნარის ზეტრონი ალექსანდრე სოლომონის ძე არ იყო დაწინაურებული ზეტოით. მასზედ უფრო უმცროსნი და ნაკლებად მცოდნენი საქმისა, მასზედ უფრო დაწინაურებულნი იუენენ. თუ არა ვცდები, ამის მიზეზი იყო

მხოლოდ ერთი ის, რომ ალექსანდრე სოლომონის ძე „ინოროდეც“-ი იყო.

მაგრამ ეს მდგომარეობა სრულად არ უცუხავდა გულს ალ. ს.—ძეს. იგი მუდამ ერთგულად ელოდა ქვეყნისა.



დასწრებულმა აქაურის ჭავით, მან მაინც ვერ უღალატა საქმეს და შრომაში დაღია სული.

ალექსანდრე სოლომონის ძეს იმდენი ღვაწლი და ამავი მიუძღვის ქართველებისადმი, რომ მე მეტონია ქართველების გადახდაც არ შეუძლიანთ.

დღეს აქ შეკრებილთ ახალგაზრდათ და აქ არა მყოფთ იმითი შეგიძლიანთ გადახდა ვალის, თუ თქვენიც ისე გულ-წრფელად და სისოებით გუევარებათ თქვენი სამშობლო, როგორც უევარდა განსვენებულს.

დასასრულს უსურვებ მისკან დაარსებულს საზოგადოებას რომ ნაყოფი მიეტანოს. რომ აქ შემოკრებენ ქართველები და ჩვენც, რუსები, ვისაც რითი შეგვეძლება თქვენი დახმარება, და ერთად გავწიოთ საკულტურო უღელი, რა მუშაობაც განამტკიცებს სიუვარულს ამ ერთ შორის“.

ამითი გაათავა თავისი სიტუვა პ-ნ ნ. ა. იანჩუკმა. ამის შემდეგ წაიკითხა თავისი მოხსენება შრ.—დ. კრიმსკიმ. მე აქ არ მოვიუვან არაფერ ცნობას ამ მოხსენებიდან, თუმცა იგი ვრცელი და მეტად საკულისხმო იყო. ამ მოხსენებაში იყო აღნიშნული უოველი ცნობა, რაც კი შეეხება ხასხასვილის ნაშრომთა დასახელებას. მოხსენება საინტერესოა ბიოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული მხრივ.

შემდეგი მოხსენება წაიკითხა ცნობილმა ნ. ნ. ღურნოვომ.

მან აღნიშნა თუ რა ღვაწლი მიუძღვის ხასხასვილს ქართულ ეკლესიის საკითხში.

დასასბუთა ისიც, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველებს რუსეთისადმი, რომ უოველი ნაშლევი ზეტოისანი რუსი ამ ღვაწლისთვის სიუვარულს მეტს არას უნდა კრძნობდეს ქართველებისადმი.

ნ. ნ. ღურნოვოს შემდეგ ჩვენმა კომპოზიტორმა დ. ე. არაუიშვილმა მოკლედ და მშვენიერის სისწორით აღნიშნა ღვაწლი ხასხასვილისა ქართულ „მუსიკალურ ეთნოგრაფიაში“. მოხსენებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზედ.

შემდეგ წაიკითხეს მოხსენებანი ძმებმა ჯაფარიძეებმა. გრ. ჯაფარიძემ წაიკითხა ხასხასვილის ქართულ ლიტერატურაში მოღვაწეობის შესახებ და ვლ. ჯაფარიძემ დახასიათება განსვენებულისა.

ხალხი ძლიერ კმაყოფილი დარჩა საღამოსი.

ასე ჩაიარა პირველმა სხდომამ ახლად დაარსებულ საზოგადოებისამ.

ირ. ამ—ი.



### ს. კაკაბაძის სახსოვარი

17 მარტს ქალთა უმაღლეს კურსებზედ სარგის კაკაბაძემ წაიკითხა მოხსენება თუ „როდის სცხოვრობდა შოთა რუსთაველი“ და შეეცადა დაემტკიცებინა, რომ იგი მე-XV-ე საუკუნის დასაწყისში სცხოვრობდა და მაშინ დასწერა „ვეფხვის ტყაოსანი“ ბორჩალოს მეფის (?) დავითის ბრძანებით, აფხაზეთის დედოფალ თამარის სადიდებლად.

ასეთი ახირებული დებულების დასამტკიცებლად ს. კაკაბაძესათვის, რასაკვირველია, უფრო ახირებული საბუთები იყო საჭირო, და რადგან ვერსად უპოვია, ხშირად ამბობდა: „ჩემის“ გამოანგარიშებით, „ჩემის“ აზრით, „ჩემ მიერ“ აღმოჩენილ დოკუმენტებით და სხ. ძნელი გამოსაცნობია, თუ რად დასჭირდა ახალგაზრდა „მეცნიერს“ ასეთი „გამოკვლევის“ წაკითხვა სპილიოტისა და დირას საზოგადოებაში, მაგრამ არ შეგვიძლიან გვერდი აუხვიოთ ზოგიერთ მის მარგალიტებსა „ხელი-ხელსაგომანებელს“, (რომელ სიტყვებსაც სხვათა შორის, მეცნიერი კაკაბაძე ასე სთარგმნის: «ЛЕЛЪЯЛЪ СЪ РУКИ НА РУКУ»).

ჯერ ერთი ისე გულ ასარევად სთარგმნიდა შოთას უკვდავ სიტყვებს, თითქო სცდილობდა განგებ წაეხდინა მისი შინაარსი.

ზოგიერთი ადგილები ჩავიწერე, რომ შვილი-შვილთაც გამოადგეთ იქნება: „მელნად ვიხმარე გი შრის ტბა, და კალმად მინა რხეული“, — კაკაბაძემ გადათარგმნა: „чернилами употребил тростникъ“ და „მე რუსთველმა ხელობითა“: „по обязанности теряю разсудокъ“. უეჭველია ასეთი უკანასკნელი საქმე დაემართა ს. კაკაბაძეს, თორემ როგორ გაბედავდა ჩვენი წმიდათა-წმიდის გამასხარავებას.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი: მეცნიერს ყოველთვის ებატებოდა ცუდი თარგმანი, თუ მეცნიურულ მსჯელობას მაინც გამოიჩინს; საბუთები კი ისეთი საცოდავი იყო, რომ თვით საცოდავ თარგმანსაც შერცხვებოდა. მოხსენების პირველი ნახევარი დაამყარა ისეთ ამონაწერ ტაეზზე, რომლის შესახებაც

(სხვებთან ერთად) არა ერთი გამოკვლევა ყოფილა და დაუმტკიცებიათ, რომ თვით შოთას არ ეკუთვნის, მერეა მიწერილი და ამიტომ ყალბია. გამოკვლევანიც რომ არ ყოფილიყო, უბრალოდ შინაარსიდან სჩანს, რომ მას შოთას ვერ მიეკუთვნება:

ამიანს დარეჯანის ძე მასეს უქია ხონელსა  
ახდულ შესია შაკთელსა ლექსი მას უქეს რომელსა  
დიდარგეთ სარგის თმოგველსა მას ენა დაუშრობელსა  
ტარიელ მისსა რუსთველსა მისთვის ცრემლ  
შეუშრობელსა

დიდი მოაზრება არ არის საჭირო, კაცი მიხვდეს რომ აქ ვინმე მესამე პირისაგან არის ლაპარაკი, მოსე ხონელზე, შავთელზე, თმოგველზე, რუსთაველზე და არა თვით რუსთაველისაგან, და აქედან იმის დასკვნა რომ — „მაშასადამე რუსთაველი მათ შემდგომ (ე.ი. ხონელსა, შავთელსა და თმოგველს) შემდგომ იყოვო“, ისევე ლოლიკურია, როგორც შემდეგისა: г-нъ Какабядзе „по обязанности терять разсудокъ“ г-нъ Спидіоти по обязанности давно потерялъ его, а г-нъ Диръ только собрался его потерять, მაშასადამე ეს სამი მეცნიერი სხვა და სხვა საუკუნეში სცხოვრობდნენო.

იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენად ირყვნებოდა შოთას უკვდავი პოემა, ჩვენ საკმარისად მიგვაჩნია მოვიყვანოთ ჯერ კიდევ არჩილ მეფის სიტყვები ერთ ინტერპოლიატორზედ:

ნანუნას რუსთველის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია საბრალოს ვერ შეუწვავა, წმინდა რამ აუმიღრეკია მასთან რას სწერდა მის ლექსსა, სირეგვანე შითა მორვეია რუსთველი საბრძანის ტბა არის, არც თუ იგ მორვეია“

ს. კაკაბაძის თარგმანზე და გამოკვლევაზედაც ამაზედ მეტი რა ითქმის.

რაც შეეხება ისტორიულ საბუთებს, ვითომ დავითი იყო ბორჩალოს მეფე და კაკაბაძის აზრით მას უბრძანებია შოთასთვის აფხაზთ დედოფლის თამარისათვის ხოტბის შესხმა — ეს ჰიპოტეზა იმდენად საგანგებოდ შეხანხლილი იუმორისტული ნაწარმოებია კაკაბაძისა ([რადგან კაკაბაძის მიერ მოყვანილ საბუთებში ერთი (დავით ბორჩალო-ჯავახ. მეფის შესახებ) იმდენ შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს, რომ არავითარ ეჭვს არა სტოვებს მის სიყალბეზედ და მეორე (თამარ „აფხ. დედოფლ.“ შესახებ) სრულიად არ გვიბატავს მას აფხაზთ დედოფლად, რადგან იქ იგი ნახსენებია „გამაერთებელად ლიხთ-



ინგლისა და ლიხთ-ამერისად, ორისავე ტანტის მპყრობელად — ტიტული, რომელსაც ატარებდნენ მხოლოდ ქართლის დედოფლები. და როგორც სამართლიანად შენიშნავს აქტის გამომცემელი ისტორიკოს-არქეოლოგი ექ.თაყაიშვილი — არის ალექსანდრე (მცხეთის აღმაშენებლის) მეუღლე.) რომ მის წაკითხვას მარტო გულუბრყვილო კურსისტკებთან თუ გაბედავს კაცი და მართლაც ბატონმა დირმა და კაკაბაძემ მაშინვე კუდი ამოიძუეს და შიშნარევად წამოიძახეს: „არა, არა, კამათი არ შეიძლებაო“, როგორც კი დაინახეს, რომ მცოდნე პირთ სურდათ გაბათილება მათი ყალბი შენო-

ჩვენ გადაგვარების დროის ჯოჯოხეთს ესეთი დევნერაციის მუგუზალი და აკლდა და ისიც იქ შესჩხირეს.

რ. გ.

## ნ ა რ ე კ ი

უცნაურ ამბებს წააწყდება მომავალი ისტორიკოსი, როგორც მაგ. სარქის კაკაბაძე, და ხელზედ დაიხვევს, როცა გადაავალიერებს ჩვენს პრესას და იფიქრებს: იმისთანა შავბნელ დროსაც კი, როცა დიდი და პატარა ჩივილსა და ტირილს უნდებოდა, ქართველი ხალხი „იუმორისტულ ხუმრობით“ გულს ირთობდაო. მართლაც, ჩვენ გაზეთებში ხშირად შეხვდებით:

ამ ექვსას-შვიდას საუკუნის წინ. საქართველას უკვების 15 მაღიფხამდე ხაღხი. ეს არც საკვირველაა!..

„თემი“ (№ 108), წერილი სანოსი, საცა „არხებზედ“ ლაპარაკობს:

მართალია, ეხლა მარტო მე-XX-ე საუკუნეა და ქრისტეს დაბადების წინაც ისტორია მარტო 20-30 საუკუნეს იცნობს. მაგრამ განა ეს ხელს შეუშლის ქართველ თემსა ექვსასი საუკუნის წინად არხების გაყვანას და 15 მილიონი ხალხის გამოკვებას? ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ რამდენიმე ათასის წლის შემდეგ „თემის“ რედაქტორი და სანო კიდევაც მოასწრობენ თამარის არხების აღდგენას და მაშინ საქართველო 1500 000 000 000 ხალხს გამოკვებავს. (დღეს-დღეისობით ჩვენი რედაქცია ბევრად უფრო ღარიბია ფანტაზიით და ოცნებობს იმ ორიოდ მილიონის გაბედნიერებაზედ, რომელიც ეხლა მოსახლეობს საქართველოში).

„ქართლი“ (№ 73), არა ნაკლება ყოფილა სახუმაროდ განწყობილი და გულახდით ამბობს:

გაზეთი უხდა ერთმა კაცმა აწარმოვას... რაღ-

გ ა ნ ა ც უ ფ უ ლ ო კ ა ც ი ლ ე ქ ე ნ ი ა ნ ი ძ ა დ - ლ ი ე რ თ ი ლ ი გ ი ვ კ ა ა .

რომ გაზეთი ერთმა კაცმა უნდა აწარმოვოს — ეს დასაჯერებელია კიდევ, რადგან ორისაში ქვეციანი ადამიანი ერთი ქვეციანი გაზეთით ვერ მოიფხანს, მაგრამ უფულო კაცის და ქვეციანი ძალის ერთი და იგივეობა ისეთი ზოოლოგიური აღმოჩენაა, რომ კარგი იქმნებოდა ქართულმა პრესამ, საზოგადოებამ და ერმა გაახმაუროს ეს ამბავი, რომ ჩვენც ჩაგვრიცხონ კულტურულ ხალხთა სიაში. კარგი იქნება, ახალმა ბაქოელმა საზოგადოებამ გორკისაც გადაუთარგმნოს. ხუმრობა ხომ არ არის, საუკუნეში ასეთი აღმომჩენი ერთი თუ იბადება ქვეყანაზედ და ეხლა გორის მუხამ ჩვენ გვარგუნა.

გაეახმაუროთ, თორემ განა ცოტაჯერ ყოფილა, რომ დიდი ქვეყნების ბამბასაც უჩხრიალნია და ჩვენისთანა დაჩაგრულისა კაკაღსაც არა. ასეთი კაკალი აღმოჩენა კი ვის არ დაუყენებს თვალებს და იქნე? ა ნობელის პრემიაც ჩვენ გვერგოს.

„მერცხალი“ (№ 23). ვინმე „გალიორკა“ ასე აღწერს აკაკის შეხვედრას პეტერბურგის სალამოზედ: და რააზმა უკან მოიხკდა, ზეჟუ წამოაჭრა და ტაშმაც დაიგრადა.

მერე განაგრძობს:

...ჩამწკრივებული იყო ზატარა სტოლები, რამეჯთაც თავს დასტრიალებდნენ კვანკრშებათ ჩვენებური კუქსისტკები. მსურველი იმდენი აღმოჩნდა, რომ სტოლები არ უფხიდა. (?)

ჩვენ ცნობა მოგვივიდა, რომ ამავე დარბაზს თვალი ჩაუკრავს სატახტო ქალაქის სხვა დარბაზებისათვის და ყველანი ყალყზედ შემდგარან, სკამებს მუხლი მოუღრეკიათ და აღტაცებული მრავალყამიერ უმღერიათ. მაგრამ რაც ყველაზედ გასაკვირველი ყოფილა, რაც ქვის დარბაზსაც ვერ შესძლებია და ხის სკამებსაც გასჭირებიათ — რკინის სოციალ-დემოკრატებს სამშობლო ერი უწამებიათ და უთქვამთ:


„სუ იფიქრებ, მგოსნო (აკაკი, რომ ქართველი ერი აწმყაში და მამაფალში უფრო ნაკლები ეხერგითო დიღავს თავის არსებობას, ვინემ ეს უაფიდა და წარსულშია“.

ეტყობა, ეს რკინის კარიც შეუნგრევია ეროვნულ იღვას და „აწი“ გვეშველება რამე საერთო მიზნის მიღწევაში.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

\*) ჩვენი თანამშრომელი პ. ინგოროყვა ახლო მომავალში წაიკითხავს მოხსენებას იმავე თემაზედ.




მ ი თ ხ ო ვ ე თ ყ ვ ე ლ გ ა ნ

# კოოპერატიული ღვინო




საზოგადოება „კახეთი“-სა



ერო საზოგადოება „კახეთისა“: ღვინის მოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდა 1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენტში, ბათუმში, მოსკოვში, არმავირში, ალექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კახეთისა“: ღვინის გადაღებ-გადმოღება

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“

მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“- დააკმაყოფილა 1894 წელს. საზოგადოებაში არის 164 წევრი. „კახეთის“ საზოგადოების წევრებს ამჟამად 866% დანახვა ვინახი, საიდანაც უზიდავენ საზოგადოებას ნამდვილ კახურ ღვინოს!

## კალა ერთობაშია!

კახელებო! ჩაეწერეთ საზოგადოების წევრებად და ამით დაიხსენით თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და საქმეში მონაწილეობით. ყოველ კახელისთვის ფრიად სასარგებლო „საზოგადოების“ გაფართოება— გაძლიერება, მისი წევრების გაძლიერების და გამდიდრების მომასწავებელია.

უკანასკნელ დროს საზოგადოების საქმიანი მოწესრიგებული და მკვიდრად დაყენებულია.

მოითხოვეთ საზოგადოების წესდება.